№ 8 აგვისტო 1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭიანური

პიონერი

№ 8 აგვისტო 1950

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა „კომუნისტი“

წელიწადი XXIV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

გზა, რომელიც ბრწყინავს მარად

რამდენია ამ მთა ბარად
გზა დიდი და გზა პატარა,
გზა—დედუღეთს მიმავალი,
გზა—წყაროსკენ მიმავალი,
გზა დიდი და გზა პატარა.
მე ამ გზებმა შემაყვარა
მშობლიური ცის კამარა,
ნეტარებით დამატარა
შრიალა ტყე, ტბა ანკარა,
და შვიდის რომ შევიქენი,
იცით, მე რამ გამახარა?
სისხამ დილით, როს ცვარ-ნამით
კამკამებდა მინდორ-ყანა,
მე ერთმა გზამ ჩანთით ხელში
სკოლის კართან მიმიყვანა.
და მის შემდეგ ამ მთა-ბარად
ამ გზას სხვა გზა ვინ ადარა?
ყოველი გზა პასთან მოდის,
აქედანვე მიდის ყველა—
სიყვარულის, ცოდნის, სიბრძნის
საძებნად და საპოვნელად.
რამდენია ამ მთა-ბარად
გზა დიდი და გზა პატარა,
მაგრამ გვხიბლავს სულ სხვაგვარად
გზა—სკოლისკენ მიმავალი,
გზა, რომელიც ბრწყინავს მარად!

არნო ონელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ბუაჩიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნახ. გ. ჩირინაშვილისა

5327

ორძოლის ქუჩის კუთხეში აი, იქ სადაც წინათ თბილისის იპოდრომი იყო, ნიკასა და მის ამხანაგებს ერთი პატარა მოედანი აქვთ აჩენილი. ყოველ საღამოს იქიდან ხან ბურთზე ფეხის გარტყმის ხმა ისმის, ხან ქამრის ტყლაშუნი. ზოგჯერ რიკტაფელას ჯოხიც გაისრიალებს ჰაერში.

ხშირად, შეღამებულში, დედების ძახილი არღვევს სიჩუმეს.

— ნიკა, მოდი ბიჭო, სად ხარ აქამდე?

ნიკაც აჰკრეფს სათამაშოებს. ბურთს იღლიაში ამოიჩრის. რიკტაფელას ჯოხსაც ხელში დაიჭერს და მოდის ნიკა. უკან მოჰყვება ამხანაგების მთელი რაზმი. ნიკაა მათი მეთაური. არავის არ აურჩევია, მაგრამ მაინც უჯერიან ტოლები.

— ნიკას მაინც შეხედე ბიჭო, გაუთენებელზე რომ ჩაჯდომია წიგნს. — ესმის ხშირად ნიკას, როცა დილით გაკვეთილებს იმეორებს.

— აბა, ნიკასავით გამგონე არ იყო. დიდი ამბავი, თუ ბორჯომის წყალი მოგიტანა ავადმყოფ პაპასათვის! — ეუბნება ბებია შვილიშვილს.

ამ სიტყვებზე გარბის შვილიშვილი, გარბის უკან მოუხედავად და რამდენიმე წუთში ავადმყოფი პაპა ბორჯომის წყლით ისველებს ყელს.

დღეს ზომაზე მეტად შეუგვიანდათ ამხანაგებს. უკვე მესამედ გამოვიდა ქეთევანი ეზოდან. შუბლს იჩრდილებს. ჩამავალი მზის სხივები პირდაპირ თვალებში ხვდება. არავინ ჩანს. არც ხმა ისმის.

— სად წასულან ნეტავ!?—ჩაიცლაპარაკებს თავისთვის და ეზოში ბრუნდება. იქ პატარა ხბო ელოდება. ძროხაც უკვე მოუყვანიათ. ხანდახან ტრამვაის ვაგონი ჩაიგრიალებს ეზოს წინ და შეკრთება ბოჩოლა.

— ზმუუ...—აღმოხდება უნებურად.

ნიკა კი მოედანზე დგას ამხანაგებით გარშემორტყმული. ტუჩები მაგრად მოუკუმია.

—რა მაინც და მაინც დღეს მოუნდათ მოსვლა გაღმელებს?!.—ფიქრობს ნიკა. გაღმელებს პატარა ფიცრულ ხიდს გაღმა მცხოვრებლებს ეძახიან ბავშვები, ნიაღვრის არხზე რომ არის გადებული. ფიდო და თენგიზიც თან არ ახლავს ნიკას. ოთხი ბიჭი რას უნდა გახდეს!

ფეხბურთში წააგეს. სამაგიეროდ ლახტში აუჭრელეს კანჭები სტუმრებს.

ეს მიზანში სროლა რაღა მოიგონეს?! არასოდეს არ უთამაშია იგი ნიკას. „რაღაც ახალი თამაში უნდა იყოს?!“—ფიქრობს ნიკა და თვალებს ძალას ატანს, უნდა კარგად დაინახოს მიწაზე სანიშნოდ დაგროვილი კენჭები.

ბინდდება. ოდნავ მოსჩანს რუხი კენჭები. ნიკამ გაარტყა მაინც.

— ყოჩაღ!—დაიძახა ვიღაცამ. მეორეჯერაც გაარტყა. ცოტა გვერდზე, მაგრამ რაკი კენჭები შეინძრა, ჩაითვალა ქულა. მესამე კი მოუცდა. ნახევარ მეტრზე გადაუფროლა ნიშანს ქვამ თავზე.

— ნიშანს ვერა ვხედავთ. ასე როგორ იჭნება!—აყვირდნენ ბიჭები.

— ეგ მართალია,—შეიფხანა თავი სოლიკომ. ის მეთაურობს ახლა სტუმრებს. უფრო ნათელი ნიშანი გამოვნახოთ.—დაუმატა მანვე.—აი, ნიშანიც!—წამოიძახა უცებ და მაღლა ელექტროძაბვის გადამცემი ხაზის ბოძს მიათითა.

— სად?—დაინტერესდნენ ბავშვები.

— აი,—განმარტა სოლიკომ.—თეთრი ფაიფურის ფიალას ხომ ხედავთ. გამამხოლოებელია. მინა ცუდად სჩანს!

— ცუდად არა სჩანს, მაგრამ ტყუილად ხომ არ ჩამოკიდებდნენ მაგ სიმაღლეზე?

— ტყუილად არ ჩამოკიდებდნენ?! შეხეთ რამდენია! ერთის გატეხვა მაგ ბოძს, აბა, რას დააკლებს!

— არა, იგ შეუძლებელია! ეს მავთულები დიდების ქვესადგურში მიდის. მამამ

თქვა: ეს ქვესადგური რომ არ აეშენებიათ, ხრამჰესის სინათლეს ჩვენ ვერ გამოვიყენებდითო.—გადაჭრით მიუგო ნიკამ.

— მე კი ვესვრი და, თქვენ როგორც გინდათ!

ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს. წაგება არ უნდოდათ. არც ფიალის გატეხვა შეიძლებოდა, მაგრამ როცა სოლიკომ ერთი მოუქნია და ააცილა, მერე მეორე, მესამე, გათამამდნენ ესენიც. ააცდინეს მათაც. ფიალასთან უფრო ახლოს კი მისრიალებდნენ ქვები.

ნიკა არ იძროდა მხოლოდ.

— თქვენი ფალავანი შუაგზამდეც ვერ ააწვდენს ქვას! — გესლიანად ჩაილაპარაკა სოლიკომ.

— რამ გადაგრია. გაჩუმდი!—შეუყვირეს აქეთ-იქიდან, მაგრამ გვიან იყო. ნიკას სახეზე ალმური მოედო. მისი გულისათვის აყენებდნენ ბიჭებს შეურაცხყოფას. ხალათი გაიძრო. ქვას დასტაცა ხელი, უკან **დაიხია,** და ის იყო მოიქნია კიდეც, როცა ვიღაცამ მაჯაში ხელი სტაცა.

— რას ჩადიხარ?!—ბრაზისაგან ძლივს ამომარცვლა უცნობმა. ნიკას ხელები მჩვარივით ჩამოეკიდა.

— გესმის, რას ჩადიხარ? მაგრე რომ დალეწოთ ფიალები, ხომ გამოირთო გადამცემი ხაზი, ხომ ჩაკვდა სიცოცხლე ქალაქში?!

ნიკას არ უპასუხნია. დანარჩენები შემოეხვივნენ და მის მაგივრად იმართლებდნენ **თავს.**

ბოლოს როგორც იქნა (ასე ეჩვენა ნიკას) წავიდა სათვალებიანი უცნობი და ნიკამაც ლასლასით გასწია შინისაკენ.

* * *

— რას გავხარ შვილო, კაცის ფერი არ გაძევს! — უთხრა დედამ სახლში შესვლისთანავე ნიკას.

— იბურთავა ალბათ. დაიღლებოდა — თქვა მამამ.

— ზედმეტი არაფერი არ ვარგა. ბურთის გარდა სხვა რამეცაა საჭირო მაგხელა ბიჭისათვის. — მიუგო ქეთევანმა.

ნიკა აბაზანაში გავიდა. დედამ ჩაი გაამზადა.

უმადოდ სჭამდა ნიკა. ჩაიც ძლივს-ძლივობით დალია. ჭამა რომ გაათავა, მამას მიუჩოჩდა საწერ მაგიდასთან.

— როგორ ჩაკვდება სიცოცხლე ქალაქში?! — ჰკითხა მან. მამამ ვერაფერი გაიგო.

— დენი რომ გამოირთოს. აი, ვთქვათ, სულ გამოირთოს დენი. — განმარტა ნიკამ.

* * *

შუაღამე გადასულია. ძინავთ სახლში. მარტო ნიკა და მამამისი უსხედან საწერ მაგიდას. ნიკას ხელები ერთმანეთზე გადაუჭვდია, ნიკაპი ზედ დაუბჯენია და მიჩერებია მამას. უსმენს გაფაციცებით. ქუჩაშიაც სიწყნარეა. ხანდახან კენტად მიმავალი ტრამვაი ჩაიგრიალებს და ძაღლების ყეფა აჰყვება თან.

ბოლოს ისიც წყდება.

— დღეისათვის — კმარა. წადი, დაწექი. ელექტრობის გამოყენებაზე ლაპარაკს კვირეები დასჭირდება!—უთხრა ნიკას მამამ და ფეხზე წამოდგა.

* * *

დიდხანს იბორგა ნიკამ ლოგინში. არ დაეძინა. მამის ნათქვამი უტრიალებდა თავში. თან სახე ეწოდა სირცხვილისაგან, სათვალებიანმა კაცმა რომ მაჯა დაუჭირა.

როგორც იქნა გათენების ხანს ჩაეძინა. მაგრამ ეს რაა?! ჩაეძინა კი?! ამას რას ხედავს?! მოედანზეა. აგერ, გაიძრო ხალათი. დასტაცა ხელი ქვას, დაიხია უკან, უნდა რკალი სწორად მოხაზოს... აკი ვიღაცას უნდა გაეჩერებია. ახსოვს ბუნდოვნად, მაგრამ არავინ აჩერებს. ქვამ ჰაერში გაიმხუილა. ელექტროძაბვის ბოძიდან გამამხოლოებლის ნატეხები წვიმასავით წამოვიდა.

ზრიალით შეირხნენ **მავთულები.**

ნიკამ მიმოიხედა. არავინ ჩანს. სრულიად არავინ. სტუმარი ბიჭებიც კი წასულან.

„გაქცეულან, — მწარედ გაიფიქრა ნიკამ. — ჩვენებმაც ზურგი მაქციეს უთუოდ“.

— ღირსი ხარ, ღირსი. — ზრიალებენ მავთულები სიბნელეში. დაბნელებულა კიდეც! ასე უცებ დაბნელებულა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიზმარი ხომ არ არის ნეტავ?!“ ფიქრობს ნიკა ძილში, და მოუსვენრად ბორგავს. ხელის ფათურით მიდის შინისაკენ. როგორ გაიგნოს! არც ერთი ნათურა არ ანათებს ქუჩას. ტრამვაიც არა სჩანს. მთვარეც ახლა ამოეფარა ღრუბლებს.

ღობე-ღობე გამოყვა ნიკა. ხან ფორთხვით, ხან ჩოქვით მოჰყვება გზას. როგორც იქნა მოვიდა ტრამვაის ლიანდაგამდე. აქ უკვე ახლოსაა სახლი. შევიდა ეზოში. მურამ შეჰყეფა. სიბნელეში იმანაც ვერ იცნო, თუ არ უნდა იცნოს?!

ოდნავ ბეუტავს სინათლე სასადილო ოთახიდან. მეორე სართულის აივნები მთლად ჩაბნელებულია.

— სად ხარ ამდენხანს, სად დაიკარგე?!— შემოუტტატანა დედამ, როგორც კი შედგა კარებში ფეხი.—სინათლე ჩაქრა. ვინ იცის რა მოხდა და შენ სადღა გეძებო?!

— მე თეატრში მაგვიანდება, დღეს ჩემი აბონემენტია. — დაიწუწუნა უფროსმა დამ ნინომ.

— შენ თეატრის მეტი არაფერი გახსოვს. მამაშენს რომ პედსაბჭოს სხდომა აქვს და ჩართული უთო მის ხალათზე მიდევს, შენ ეს იკითხე.

— ხალათს რა უშავს, სხვას ჩავიცვამ, მაგრამ ტრამვაი რომ არ დადის შენ ისა სთქვი!—შეეპასუხა სიბნელიდან მამა, რომელიც სამუშაო ოთახში ბოლთასა სცემდა.

— რა იყო, რა მოხდა?!—ისმის ეზოდან ხმა.

— განგებ ხომ არავინ გადასჭრა მავთულები?! ასე უსინათლობა როგორ იქნება!— უმატებს მეორე.

დედა აივანზე გავიდა. ნიკამ ისარგებლა ამით და უკანა კარით ჩაიპარა ეზოში. ხილის პატარა ბაღი და ბოსტანი რომ გადაიარა გათენებულიყო კიდეც.

„რა უცნაურად ღამდება და თენდება ღღეს“, ფიქრობს ნიკა. შიმშილი იგრძნო და უკან დაბრუნდა.

— დედა, ჩაი მინდა.—ხმადაბლა უთხრა დედას.

— ჩაი?! რაზედ ავადუღო, სინათლე არ არის! შენც ზევით-ქვევით დარბიხარ, ნავთი მაინც მოგეტანა!

— დედა, ჩაი!—მოესმა ეზოდან ხმა. ეს მეზობლის შვიდი წლის გოგონა თხოვდა დედას.

„იამზესაც შია. მის დედასაც არ ჰქონია ნავთი“. გაიფიქრა ნიკამ და წასასვლელად მოემზადა. ფეხები შეეკრა. ვერ გადადგა ნაბიჯი.

— არ გაუშვათ, მაგის ბრალია. მაგან გატეხა გამამხოლოებელი.—აზრიალდნენ მავთულები.

— ჩემთვის არა. იამზესთვის მივდივარ, იამზეს შია. გამიშვით...—ისეთი ხმით დაიღრიალა ნიკამ, რომ მყისვე გამოეღვიძა.

შეშინებული თვალები მიმოატარა ირგვლივ. გათენებულიყო. ნიკა ჯერ ისევ სიზმრის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. თვალები დახუჭა. სიზმარ-ცხადის შემოწმება უნდოდა.

— წადი, ნინო, გამორთე ჩაიდანი. ხომ ხედავ გაგიჟდა. — ჩაესმა დედის ხმა ნიკას.

— მაშ არის სინათლე. ჩართეს დენი?! —შეჰყვირა ნიკამ და ლოგინზე წამოჯდა.

— რა ჩართეს, რას ამბობ. აკი მთელი ღამე გვქონდა დენი.

— მთელი ღამეო?! მე, მე რომ გავტეხე გამამხოლოებელი? რომ გამოირთო დენი? — შეეჭვებულად იკითხა ნიკამ. ეგებ მესიზმრა...

— მესიზმრაო?! — გადაიკისკისა ნინომ.

ნიკამ თვალები დახარა. სასწრაფოდ კვლავ დაწვა და თავზე საბანი წაიხურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხის ძმური ოჯახში

ბალტიისპირეთის სამ საბჭოთა რესპუბლიკას — ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს მიმდინარე წლის 21 ივლისს არსებობის 10 წელი შეუსრულდათ. 10 წელია ეს ქვეყნები საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში იმყოფებიან.

მანამდე ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ჩამორჩენილი ბურჟუაზიული ქვეყნები იყვნენ, სადაც ბატონობდნენ ამერიკელი, ინგლისელი და გერმანელი იმპერიალისტები. ამ უცხოელი კაპიტალისტებისათვის არ იყო ხელსაყრელი ლიტველებს, ლატვიელებსა და ესტონელებს ჰქონოდათ თავიანთი დიდი ქარხნები და ფაბრიკები. ამიტომ მსხვილი საწარმოები აქ არ შენდებოდა, რის გამოც ლიტვა, ლატვია და ესტონეთი დარჩნენ სასოფლო-სამეურნეო ქვეყნებად. მიწის დიდი ნაწილი ეკუთვნოდათ კულაკებს, ათასობით ღარიბი გლეხი ყმების მდგომარეობაში იმყოფებოდა — ისინი კულაკების მინდვრებზე მუშაობდნენ.

1940 წლის ზაფხულში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხებმა მოიშორეს საძულველი ბურჟუაზიული წყობილების მონური უღელი, ბოლო მოუღეს უცხოელი იმპერიალისტების ბატონობას და თავიანთ ქვეყნებში საბჭოთა წყობილება გამოაცხადეს. თავიანთი ხალხების ნებასურვილით ლიტვა, ლატვია და ესტონეთი შევიდა დიდი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკები.

მალე ჩვენს ქვეყანას თავს თაესხა ფაშისტური გერმანია. ამ დროს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მშრომელები თავგანწირულად იბრძოდნენ საბჭოთა არმიის რიგებსა და პარტიზანულ რაზმებში სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

მიუხედავად იმ დიდი ნგრევისა, რაც ომის დროს ამ რესპუბლიკებს ფაშისტმა დამპყრობლებმა მიაყენეს, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მეურნეობა არნახული მასშტაბით იზრდება. ახლა ამ ქვეყნებში არის ბევრი დიდი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც აწარმოებენ არა მარტო რძის, ტყავის, სელის გადამუშავებას, როგორც ეს იყო წინათ—ბურჟუაზიული წყობილების დროს, არამედ უშვებენ ჰიდროტურბინებს, ვაგონებს ელექტროფიცირებული რკინიგზებისათვის, რთულ ელექტრომოწყობილობებს, დაზგებს და სხვა მრავალს.

გლეხთა უმრავლესობა გაერთიანდა კოლმეურნეობებში. და ახლა აქ მიწის დამმუშავებელი მთავარი იარაღებია არა უბრალო გუთანი და ფარცხი, როგორც წინათ იყო, არამედ ტრაქტორები და სხვა რთული მანქანები. ამიტომაც იღებენ კოლმეურნეობები დიდ მოსავალს.

დიდი ხანია მოისპო ლიტვასა, ლატვიასა და ესტონეთში უმუშევრობა.

ახლა ამ ქვეყნებში უცოდინარი ადამიანები არ არიან. სწავლობს არა მარტო ყველა ბავშვი, არამედ მოზრდილებიც, რადგან ყველა ამ სამ რესპუბლიკაში როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, მშრომელებისათვის ფართოდ არის გაღებული უნივერსიტეტების, ინსტიტუტების, ტექნიკუმების კარები.

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მშრომელებმა იციან, რომ იმ დიდი ცვლილებებისათვის, რომლებიც მათ რესპუბლიკებში მოხდა, თავიანთი ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკურ პარტიას, უძლეველ საბჭოთა წყობილებას, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს და პირველ რიგში დიდ რუს ხალხს, რომელიც ძმურად დაეხმარა მათ. ამიტომაც თავიანთი რესპუბლიკების დიდებული იუბილეთი ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხებმა გამოხატეს უსაზღვრო მადლობა და ერთგულება დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი, გენიოსი ბელადისა და მასწავლებლის სტალინისადმი.

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მშრომელებთან ერთად, მათი რესპუბლიკების იუბილე ყველა საბჭოთა ხალხებმა იზეიმეს.

კიდევ უფრო მაღლა ვიფრენთ

ჩვენ მოვსულვართ, რომ ლაჟვარდში
საბჭოეთის დროშებს ვშლიდეთ,
აყვავებულ ჩვენს სამშობლოს
ვგუშაგობდეთ კიდით-კიდე;
ჩვენ მოვსულვართ, რომ დავსძლიოთ
არქტიკული ყინვა ქარი,
რომ დიდების სხივით ვმოსოთ
საყვარელი ჩვენი მხარე.

ალუმინის ფრინველთ წყება
მტკიცეა და მალი.
კიდევ უფრო მაღლა ვიფრენთ,
ამხანაგო სტალინ!

ცაში როგორ ავიტანეთ
მოელვარე დროშა მიწის,
სიძნელეებს როგორ ვსძლიეთ,
ეს სამშობლომ ჩვენმა იცის.

იცის: მიწამ, იცის ხალხმა,
რომელიც ჩვენ ასე გვზრდიდა.
ჩვენ მოვსულვართ უძლეველნი
საბჭოეთის ყოველ მხრიდან.

სანდო ხელებს აბარია
ეს ფოლადის ტანი.
კიდევ უფრო მაღლა ვიფრენთ,
ამხანაგო სტალინ!

მტრები დანას ეხევიან,
მაგრამ მოსვლა თუ გაბედეს,
მკერდით გადეჩეხებიან
ძლიერების მაღალ ჯედელს.
მარად ვიცით, მარად გვახსოვს,
რომ გულხარბი მტერი შმაგობს,
ჩვენც ვდარაჯობთ ყურმახვილნი
მზიან ქვეყნის საგუშაგოს.
და დავიცავთ დიდ სამშობლოს
საკუთარის ტანით.
კიდევ უფრო მაღლა ვიფრენთ,
ამხანაგო სტალინ!

მარიკა მიქელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძლიერებისა და სიმამაცის დღესასწაული

საბჭოთა ახალგაზრდობამ დიდი ზეიმით აღნიშნა თავისი ტრადიციული დღესასწაული — ფიზკულტურელის საკავშირო დღე. ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის მრავალრიცხოვან სტადიონებზე, სპორტულ მოედნებზე, წყალჯომარდობის სადგურებსა და ჩოგბურთის კორტებზე მოეწყო მრავალი საინტერესო სპორტული შეჯიბრება, რომელშიც ათასობით სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ეს იყო ბედნიერი სიმამაცისა და ძლიერების ნამდვილი ზეიმი. ამ სახალხო დღესასწაულში დიდებთან ერთად თავიანთი ოსტატობა აჩვენეს ნორჩმა სპორტსმენებმა.

პარტიისა და მთავრობის, პირადად დიდი სტალინის ზრუნვით ჩვენს ქვეყანაში სერიოზული ყურადღება ექცევა ბავშვთა ფიზიკურად გაჯანსაღების საქმეს. ჩვენი რესპუბლიკის გოგონები და ჭაბუკები მშობლიური სკოლების მოედნებზე, სტადიონებზე, ბავშვთა სპორტულ სკოლებში გატაცებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას, აბარებენ ნორმებს ნიშანზე „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის", იწრთობენ სხეულს, დგებიან სპორტული დოსტატების გზაზე. ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა მოსწავლეთა საყვარელი საქმიანობაა. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში სპორტში მეცადინეობს 150 ათასამდე ნორჩი ფიზკულტურელი. სკოლაში კარგად დაყენებული სპორტული მუშაობა, გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი დიდად ეხმარება მოსწავლეებს მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მოპოვებაში.

მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი. ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა მრავალათასიანი არმია ახალი ენერგიით შეუდგება ნაყოფიერ სწავლას. სკოლების სპორტულ მოედნებზე, ბავშვთა სპორტულ სკოლებში კვლავ გაჩაღდება საინტერესო ფიზკულტურული საქმიანობა.

ნორჩმა ფიზკულტურელმა თავისი სპორტული გზა უნდა დაიწყოს „იმშთ" ნიშანზე ნორმების ჩაბარებით. აქ ის მიიღებს ყოველმხრივ ფიზკულტურულ განვითარებას, გაეცნობა სპორტის სხვადასხვა სახეობას. ნიშანზე ნორმების ჩაბარების შემდეგ მოსწავლეს დაინტერესებს სპორტის ერთ-ერთი სახეობა.

სასკოლო სპორტულ სექციებში გულმოდგინე მეცადინეობის შედეგად სისტემატური ვარჯიშობით სახელმოხვეჭილი გახდა მრავალი ახალგაზრდა. მშობლიური სკოლის სპორტულ მოედანზე ჩაეყარა საფუძველი მოსწავლეების: სპორტის ოსტატ ნადეჟდა ხნიკინას, მურზაყან გეგეშიძისა და მრავალ სხვათა წარმატებებს.

საბჭოთა ბავშვებს უყვართ სპორტი. მათი სურვილია იყვნენ ჯანსაღნი, ფოლადივით გამოწრთობილნი, ფიზიკურად ყოველმხრივ განვითარებულნი, ძლიერნი და მამაცნი.

ჩვენი რესპუბლიკის მშვენიერი, კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები ყოველთვის ღიაა ნორჩი სპორტსმენებისათვის. აქ ათასობით ბავშვი ყოველდღიურად იმაღლებს სპორტულ ტექნიკას.

ნორჩ ფიზკულტურელებს დიდი მომავალი აქვთ. მათ უნდა შეავსონ ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ სპორტსმენთა რიგები, გახდნენ სსრ კავშირისა და მსოფლიო რეკორდსმენები და ჩემპიონები.

ზურაბ ჯაფარიძე

საქართველოს მოსწავლე კალათბურთელი გოგონების გუნდი, რომელმაც ქ. გორკში ჩატარებულ საკავშირო შეჯიბრებაზე მოიპოვა პირველი ადგილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლიან, მამი, გკვეთ!..

ილიკო ქურხული — **მოხეტიალე მუსიკოსის ჩანაწერებიდან** — **ნახ. მ. დაუშვილისა**

1913 წლის გაზაფხულის მზიანი კვირადღე იყო. ჩემი ვიოლინოთი მოსკოვის ქუჩებში დავდიოდი, მხიარულად და ხალისიანად ვუკრავდი. იამსკოების ერთ-ერთი ქუჩის ერთი სახლის ეზოშიც შევედი. აქ ასეთი სურათი გადამეშალა თვალწინ: წივილ-კივილში დიდი და პატარა ერთმანეთში ირეოდა. ერთ ხანშიშესულ კაცს ფეხქვეშ გაეგდო პატარა ბიჭი და სცემდა ჯოხით. აქა-იქ ეყარა ველოსიპედის ნამტვრევები.

სწრაფად ამოვირჩიე მყუდრო ადგილი, გავხსენი ფუტლიარი, ამოვიღე ვიოლინო, გავჭიმე ხემი და თოვლივით თეთრი ძუის ძაფები ნაზად გავუსვი ვიოლინოს დაჭიმულ ლარებს. ვუკრავდი ბეთჰოვენის უკვდავ „რომანსს“ და თან უსიამოვნოდ შევცქეროდი იმ შუახნის კაცს, ბავშვს რომ ჯოხით სცემდა.

— აბა, ჩემო ვიოლინო, თუ ძალა გაქვს, დამეხმარე! — ვთქვი ჩემს გულში.

მუსიკის არაჩვეულებრივ ხმებს არაჩვეულებრივი შედეგი მოჰყვა — ბიჭიკოს კვნესასთან შეერთებულმა ვიოლინოს კვნესამ ყველანი ჩემსკენ გამოახედა. ზოგმა გამიღიმა, ზოგმა შემომიბღვირა და ზოგმაც გულგრილად შემომხედა. იმ კაცმა, ბიჭს რომ სცემდა, თვალები დამიბრიალა.

ბიჭიკომ დრო იხელთა, კაცს ფეხებში გაუძვრა და მოჰკურცხლა ქუჩისაკენ.

გაბრაზებულმა კაცმა კეტი **მიაყოლა გაქცეულს.** მერე ქვის კიბეზე ჩამოჯდა და მძიმედ ჩაჰკიდა თავი.

დაწყნარდა ეზო: მუსიკამ გაიმარჯვა.

უცბათ საიდანღაც დიდი ცოცხით და თეთრი წინსაფრით მეეზოვე გამოჩნდა.

—აი, ეს მესმის!—თქვა მან, ღრიალი რა საჭიროა! ამ სიამოვნებისათვის ფულს მეც მივცემ.—და იტაცა ჯიბეზე ხელი, მაგრამ რომელიღაც ფანჯრიდან ხრინწიანი ხმა მოისმა:

—პროკოფი, გაჩუმდი, ხელს ნუ უშლი!

პროკოფიმ აჰხედა მას, კისერი მოიფხანა, აკრიფა ველოსიპედის ნამტვრევები, მერე კედელს მიეყრდნო და გაინაბა.

ბეთჰოვენის „რომანსი“ დავამთავრე და ახლა მოცარტის „მენუეტი“ ავაწკრიალე.

მხიარულმა ახალმა ხმებმა მხიარული ახალი განწყობილება გამოიწვია. მსმენელების ნაღვლიან სახეებზე ღიმილი აღიბეჭდა. გაისმა ტაშის ხმა. ფანჯრებიდან ყვავილები გადმომაყარეს!.. აქამდე გატრუნული ბავშვები ბზრიალებივით დატრიალდნენ ეზოში, ჰკრეფდნენ საჩუქრებს, მოჰქონდათ ჩემთან და ვიოლინოს გაპრიალებულ ფუტლიარზე მიწყობდნენ.

—სიომკა!—წამოიყვირა იმ შუახნის კაცმა, წეღან რომ ბიჭს სცემდა და გაიკრა უბეს ხელი. ამ დროს გაიღო ოთახის კარი და მანდილოსანი გამოვიდა, რაღაც ჩასჩურჩულა იმ კაცს და ისევ შეტრიალდა ოთახში. მე კი ერთი-ორი კიდევ დავუკარ და დავაპირე ეზოდან გამოსვლა, მაგრამ ის შუახნის კაცი კიბიდან სწრაფად წამოდგა, წინ გადამეღობა და თავაზიანად მითხრა:

— არ აწყენინოთ ჩემ მეუღლეს, ფინჯან ყავაზე გვეწვიეთ სახლში...

— დიდათ გმადლობთ, მაგრამ...

აღარ დამამთავრებინა, გამიყარა მკლავში ხელი და ოთახში შემიწვია.

მანდილოსანი აივანზე გამოგვეგება:

— მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით!

— ჩემი მეუღლე, ნადია ივანოვნა გახლავთ, — გამაცნო ჩემმა მიმწვევმა მანდილოსანი.—მე ვასია გახლავართ, ანუ ვასილ როსტომიჩი... ხალხურად ასეა, ინტელიგენტურად — როსტომოვიჩი.

ახლა დიასახლისმა გამიყარა მკლავი და მითხრა:

—მობრძანდით, მობრძანდით, გეთაყვა, ბევრით ვერ გაგაკვირვებთ, მაგრამ, რაცა გვაქვს, არაფერს დავიშურებთ... მობრძანდით, მობრძანდით, გეთაყვა: თქვენ დღეს ჩვენი შვილი განსაცდელისაგან იხსენით, რით გაგიმასპინძლდეთ, რომ არ ვიცით!

ნადია ივანოვნამ შემიყვანა ოთახში, თავაზიანად ჩამომართვა ვიოლინო. მერმე მაგიდასთან სკამი დამიდგა და მეც დავჯექი. დიასახლისმა მომაწოდა ფინჯანით ყავა და ნამცხვარი.

— მე, ქალბატონო, მე კი არ მალევინებ ყავას? — სიცილით უსაყვედურა ვასილ როსტომიჩმა.

— შენც დაგალევინებ, აჰა, მხოლოდ ბავშვის ასეთ ცემას კი, იცოდე, არ შეგარჩენ.

— მუსიკა არ შემომსწრებოდა, მე გიჩვენებდი ცემა როგორიც უნდოდა, მაგრამ ამას უმადლე, აი, ამას! — მიუთითა ჩემზე.

— აკი ვარ მადლიერი!

— დიახ, ჩემო ნადია, შვილს აღზრდა უნდა—არ შეიძლება, როცა მამა ჰკიცხავს და დედა უყვავებს, ან და მამა ერთს ეუბნება და დედა მეორეს, ბავშვმა კი აღარ იცის ვის გაუგონოს.

მე ყავას შევექცეოდი და თან ყურს ვუგდებდი მათ სჯა-ბაასს. გამოირკვა, რომ ისინი მექუდენი ყოფილან, სჭერიათ ოთხი ოთახი: ერთი ოთახი ამათი ერთადერთი შვილის იგორისა ყოფილა, მეორე თავიანთი, მესამე სასადილო და მეოთხე კი—სახელოსნო მაღაზია. ამ ორი კვირის წინათ იგორს ხალათზე ღილი ასწყვეტია. დედას გამოუწევია კამოდის უჯრა, ამოუღია ხელსაქმის პატარა კოლოფი და დაუწყია ღილის ძებნა, ხელი შეუშლია კონვერტს. ამ კონვერტში მას ორი ცალი ას-ას მანეთიანი სდებია. კონვერტი მაგიდაზე დაუდევს. ამ დროს ქმარსაც დაუძახია მაღაზიიდან, ქალს ღილი საჩქაროდ დაუკერებია, კოლოფი კამოდში ჩაუდგამს... და სასწრაფოდ გავარდნილა ქმართან.

გაუვლია ორ დღეს და დედას ფული დასჭირებია. კამოდიდან კოლოფი გამოუღია, მაგრამ ფული შიგ აღარ დაჰხვედრია. გამშრალა, შეწუხებულა, ბევრი უძებნია დედასაც და მამასაც, მაგრამ დაკარგულიც ვერ უპოვნიათ და ქურდიც ვერ აღმოუჩენიათ. თურმე ხან ვის დააბრალეს და ხან ვის, მაგრამ შვილზე ეჭვი არც დედას და არც მამას არ მიუტანია.

—ვიფიქრებდი, რომ ჩემი შვილი ამას გაბედავდა?! მაგრამ, დღეს, აი, როგორ გამომჟღავნდა ეს საოცარი ამბავი, — ახლა ჩემსკენ მოტრიალდა მამა და განაგრძო: — ამ დილას პეტერბურგის (ახლა ლენინგრადის) შარაგზით ჩაფიქრებული მოვდიოდი მინისაკენ. უცბათ ვიღაც დამეჯახა ზურგში და, აი, ასე, — წამოდგა და გვიჩვენა ხელების აწევით, — დამაგდო პირქვე. გონს რომ მოვედი ავწიე თავი და დავინახე ჩემი შვილი იგორი, რომელიც ველოსიპედის ქვეშ ფრთხიალებდა. წამოვხტი, ჩავავლე ყურში ხელი და სოკოსავით ავაგლეჯე მიწას...

— მერე, გაიმეტე? — შეაწყვეტინა ნადიამ ვასიას.

— გავიმეტეო?.. დიახ, გავიმეტე, ვინაიდან მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს ველოსიპედი მოპარული ფულით ჰქონდა ნაყიდი.

— მერე, ჯერ რატომ არ შეეკითხე?

— როგორ, ქურდებს განა ელაპარაკებიან?! ჯოხი, ჯოხია საჭირო ქურდებისათვის, მაგრამ მე იქ ვერაფერი ვუყავი... მთელ გზაზე ვბრაზობდი; სისხლი ტვინში ამივარდა: განა-ღა გონება მუშაობდა? ავი შვილის ყოლას, შვილის უყოლობა სჯობიაო, არ გაგიგონია? ისიც მობრძანდება. — ფანჯრიდან მოჰკრა თვალი თავის შვილს ვასიამ და გაჩუმდა.

— გაანებე თავი... აღარაფერი უთხრა, ვასია... ახლა მე მოვუვლი მაგას.

— დიახ, ბატონო, ეხლა შენ უნდა მოუარო მაგას...

საკინძჩამოფხრეწილი, ცხვირ-პირ გათხუპნული, გასისხლიანებული, ტანსაცმელ ამო-



— იგორ, რა დაუშავე მამას, რომ ასე გაგიმეტა?

— ველოსიპედისტებისათვის პეტერბურგის შარას მისდევს ერთი ვიწრო გზა. ამ გზით ფეხით სიარული აკრძალულია, მაგრამ ხალხი მაინც არ გვერიდება და წამდაუწუმ ფეხებში გვიდგება. ჩემს ველოსიპედს მუხრუჭი არ უვარგოდა. ჩემს წინ დამორებით ერთი მგზავრი მიდიოდა, შორიდანვე დავიწყე ზარის წკრიალი. მგზავრმა, ალბათ, ვერ გაიგონა და ვერც მე გავიგე როგორ მოხდა, რომ დავეჯახე!.. მგზავრი მამაჩემი აღმოჩნდა.

— ველოსიპედს რატომ მუხრუჭს არ გაუსწორებ?

— ჩემი არ არის. ველოსიპედი ჩვენი მეზობელ ბორიასია და არც იმან იცის მისი ხმარება და არც მე.

ვავიფიქრე, რომ უკვე მართლდება ჩემი წინათგრძნობა და განვაგრძე:

— იგორ, შენ რომ სადმე ფული იპოვნო, ველოსიპედს არ იყიდი?

— არა, ჯერ ადრეა... ჯერ უნდა ძველზე ვისწავლო, რომ ახალი არ დავამტვრიო.

— მაშ, რას უზამ იმ ნაპოვნ ფულს?

— თუ პატრონი არ გამოუჩნდა, მშობლებს გადავცემ.

— მე კი მგონია, თუ სადმე ფულს წააწყდი, ჩუმად აიღებ, წახვალ და ველოსიპედს იყიდი.

— არა, ძია, არა... ჯერ მე აქამდე არ მივსულვარ და არც მივალ, თორემ დედაჩემს რომ კამოდის საფარის ქვეშ ორასი მანეთი უდევს, ხომ ავიღებდი.

— მერე, ის ფული იქ ვინ დასდო?

— დედა ღილს მიკერებდა ხალათზე, ამ დროს მამამ დაუძახა: დედას სიჩქარისაგან კამოდის უჯრის გალება ხელმეორედ დაეზარა და ფული საფარის ქვეშ ამოსდო.

— მერე, ის ფული კიდევ იქ დევს? რომ მოიპარონ?!

— ვინ მოიპარავს? ჩვენს ოჯახში ისეთი არავინ მოდის.

— ჰოო, ესეც, ასე, — ჩავიცინე გულში და მივუალერსე იგორს.

— ძია, — ახლა იგორმა მკითხა, — ვიოლინოზე სწავლა ძნელია?

— ადვილია, თუ სმენა და მუსიკის სიყვარული გაქვს.

— ესაა საჭირო?! სხვა არაფერი?!

განგლული, ხელში დაჭმუჭნული ქუდით და გაბერილი ტუჩებით შემოჰყო იგორმა ოთახში თავი და იქვე კედელს მიეყუდა.

— ბრიყვო! — დაუყვირა დედამ, — წადი, დაიბანე პირი, გამოიცვალე ტანთ და მოდი, მოესალმე სტუმარს.

— მაპატიეთ! — წაილუღლუღა შვილმა და გასწია თავის ოთახისაკენ.

ცოტა ხნის შემდეგ სუფთად გამოწყობილი შემოვიდა იგორი, თავაზიანად ჩამომართვა ხელი, წავიდა და ისევ კედელს მიეყუდა. მამამ მე შემომხედა, დედამ იგორს და შეეკითხა:

— რად გცემა მამამ?

— ღირსი ვიყავ და მცემა... წავაქციე...— უპასუხა იგორმა, მაგრამ შემოაწვა მღელვარება და 12 წლის იგორს ციხფერი თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. ხელი გაიკრა ჯიბეს, ცხვირსახოცი სახეზე მიიფარა და თავის ოთახისაკენ გასწია. შევხედე მშობლებს, დედა იქით მალავდა ცრემლებს და მამა აქეთ. რომ მეც გულჩვილობა არ გამომემჟღავნებინა, წამოვდექ და იგორთან შევედი.

იგორი თავის საწერ მაგიდასთან იჯდა და სლუკუნებდა. ჩემს შესვლაზე წამოდგა და სკამი მომაწოდა.

— შენც დაჯექ, იგორ! დაჯექ, გენაცვალე, და შეიმშრალე ცრემლები.

იგორმა თხოვნა მაშინვე შემისრულა. ის რომ ცრემლებს იწმენდდა, მე ვაკვირდებოდი მას და ვრწმუნდებოდი, რომ ამისთანა ბავშვი არ უნდა ყოფილიყო არც ავი ხელის და არც ბოროტი სულის. მე მაინც მინდოდა იგორისაგანაც გამეგო უფრო მეტი და ამიტომ შევეკითხე:

— ამასთან ერთად, ბეჯითობა, შრომისმოყვარეობა და რწმენაა საჭირო.

— ჰო—ო!—და ჩაფიქრდა იგორი.

იგორის ოთახი ისე იყო დაშორებული საერთო ოთახს, რომელშიაც მშობლები ისხდნენ, რომ ვერც ნადია და ვერც ვასია ჩვენს ლაპარაკს ვერ გაიგონებდნენ. როცა ლაპარაკი გავათავეთ, მასპინძლებთან გამოვედი. იგორი კი თავის ოთახში დარჩა.

ცოლ-ქმარი თავთავიანთ ადგილას ისხდნენ. მეც ჩემ ადგილზე დავჯექი. ნადიამ თავი ასწია და შემეკითხა:

— მიირთმევთ ყავას? მოდი, ერთიც მოგართვათ.

— იყოს ნება თქვენი, მაგრამ, ქალბატონო ნადია, ერთი ეს მითხარით: გულმავიწყი ხომ არა ბრძანდებით?—ვიდრე ქალბატონი მიპასუხებდა, ვასიამ უკვე მიპასუხა:

— ზოგჯერ ეგეც ემართება ხოლმე... რაზე კითხულობთ?

— იმაზე, რომ იქნებ სხვაგან ჩადეთ სადმე ფული და აღარ გახსოვთ?

— მე ჯერ ასე ვფიქრობდი, — მიპასუხა ნადიამ, — მაგრამ, ბევრი რომ ვეძებე და ვერ ვიპოვნე, მოპარულად ჩავთვალე.

— იგორს შეეკითხეთ?

— აბა, მაგას როგორ გავბედავდი? ჯერ კიდევ ვეძებდით... თქვენ, თქვენ შეეკითხეთ?

— შევეკითხე, მაგრამ ისე, რომ ის სრულებით ვერ მიმიხვდა. არც არაფერი მითქვამს იმაზე, თუ მამამ რათა სცემა. ყველაფერი თითონვე თქვა.

— რაო რა თქვა? — შემეკითხნენ მშობლები ერთად.

— ისა, რომ...—და აქ ვუამბე მშობლებს ყველაფერი დაწვრილებით.

ნადია სწრაფად წამოხტა, მივარდა კამოდის საფარს, ამოიღო კონვერტი და ააფრიალა ხელში, — აი სადა ყოფილა! — თან სიხარულისაგან კინაღამ შეჰყვირა.

— კარგი!—წამოიძახა ვასიამაც,—ეს ფული ისევ თავის ალაგას დასდე და ახლა შენ აღარ შემიშალო ხელი, თორემ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით. გესმის, ნადია? — მერე ვასია მე მომიბრუნდა: — მაშ ველოსიპედი ბორიასი ყოფილა?

— დიახ, მისი ყოფილა.

— კარგი! — მწარედ ჩაიცინა ვასიამ და გასწორდა მაგიდასთან, — ახლა მე მაცალეთ... საქმე ჩვენს ავტორიტეტს შეეხება. ყველაფერს მოვახერხებ. მხოლოდ—შენ, მიმართა ნადიას, — ხელი არ შემიშალო. — ცოტა დაფიქრდა და შემდეგ შვილს დაუძახა: — იგორ!

— აქ ვარ! — და იგორი გამოვიდა.

— დაჯექ აქ... შენ არ იცი, რომ მე ავადა ვარ?.. — და მიიდო ხელი ფერდზე, — რომ მომხვდეს რამე, მაშინვე გონება მეკარგება... შე კაი კაცო, ველოსიპედი რომ დამაჯახე და პირქვე დამაგდე, არ იცი გავგიჟდებოდი?

— მამი, განა მე მინდოდა შენი წაქცევა?

— არც მე მინდოდა შენი ტყეპა, მაგრამ... ახლა ქვით მე და შენ.

— კარგი, მაგრამ ეს ველოსიპედი რომ დაუმტვრიე ბორიას?

— ეგ არაფერი... მაგაზე კარგს ვუყიდი... შენც გიყიდი, შვილო, შენც!

— არა, მამა არა, მე ველოსიპედი არ მინდა.

— რატომ?

— მე კი ველარ შევჯდები-და!

— რატომ, შვილო, რატომ?

— მაშინვე მომაგონდება, რომ წაგაქციე... — და ჩაღუნა თავი იგორმა.

მე და ვასია გაშტერებული შევცქერიდით ერთმანეთს და გვახარებდა იგორის ჭკუა და გრძნობა.

— მაშ, რა გინდა, შვილო, მითხარი და გიყიდი!

— მე მუსიკა მინდა, ვიოლინო მიყიდე.

მე უკვე წამოვდექ, დავავლე ხელი ჩემ ვიოლინოს და იგორს მივმართე:

— ჩემო პატარა იგორ, კარგი გადაწყვეტილება მიგიღია. მოჰკიდე ხელი მუსიკას, შეისწავლე, დაეუფლე და შენი ლამაზი ვიოლინოთი ისე დაეხმარე და მიეშველე გაჭირვებულ პატიოსან ადამიანს, როგორც შენ დღეს მოგაშველე ჩემი ვიოლინო...

იგორი გაშტერებული იდგა და ჩაფიქრებული შემომცქეროდა. მამამ გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან:

— შვილო, გაიგე?

იგორი შეკრთა და უპასუხა:

— დიახ, მამი, გავიგე!

* * *

დიახ, მეც გავიგე... გავიგე მხოლოდ 37 წლის შემდეგ: იგორს მართლა უყიდნია ვიოლინო, უსწავლია, გამხდარა მუსიკოსი და საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი მუსიკალური სკოლის საუკეთესო ხელმძღვანელიც.

გულის სიღრმემდე აღმაფრთოვანა ამ ამბავმა სწორედ ისე, როგორც ყველა მასწავლებელი აღფრთოვანდება ხოლმე, როცა გაიგებს, რომ იმისი ყოფილი მოწაფე უკვე სახელოვანი მასწავლებელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუმის ბავშვთა სახლში იზრდება ომის შემდეგ ობლად დარჩენილი უკრაინელი გოგონა ულიანა.

ღვასთან სჩანდი როგორც იალქანი,
კისკისებდი ისე გულიანად,
რომ კენჭების ხმაურს მივამგვანე
ის სიცილი, კარგო ულიანა.
გაგონდება გადამწვარი სახლის
სახურავი, ძირს რომ ეშვებოდა.
მერე გზებზე უძილობით დაღლა
და ხმაური მძიმე ეშელონთა.
იყო კვამლი, კვამლზე მეტი მტვერი,
გათენება უხალისო დღეთა.
გაოცებდა, რომ იტირე ბევრი
და არ სჩანდა მოალერსე დედა.
იმ დღეებზე გადიყარე ფიქრი,
გაუცინე კვლავ ცას გულიანად.
შენ ბედნიერ სიცოცხლისკენ მიქრი,
ულიანა, ჩემო ულიანა.
შენთვის ღელავს წამოშლილი ყანა,
შენთვის ბრწყინავს ეს მზე მოგიზგიზე.
აქ ქართველი მეგობრები გყვანან,
დადიხართ და ერთად დაკისკისებთ.
რომ მღეროდეთ ასე ფრენა-ფრენით,
არ გბურავდეს ნისლის მარმაშები,
შენთვის შექმნეს ირგვლივ ყველაფერი
ნაომარმა ძმებმა მამაშენის.
ზღვის კიდემდე რომ მიგიწვდა თვალი,
რად ჩაფიქრდი უცებ, ულიანა?!
იქნებ იცი იქით მტრები არი,
შურიანი მზერა იგრძენ განა?!
შენთვის გზები შუქნათელი სჩანან
მზერა ასე რატომ შეგებურა?..
ულიანა, კარგო ულიანა
გაიცინე ისევ შენებურად.
გაჰკიოდნენ თუნდაც გადაღმელნი,
არ დაჭკნება მაგ სიცოცხლის ეშხი.
შენ რომ გძინავს მშვიდად, გალაღებით,
მაშინ სტალინს როდი სძინავს კრემლში,

რომ ბავშვობა არვინ გაგიმწაროს,
იკისკისო ასე გულიანად,
ჩემი ქვეყნის გაზაფხულის დარო
ულიანა, კარგო ულიანა.

გიგლა ხუხაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაფხულის უღრუბლო დღეა. ივლისის მზე გულუხვად აფრქვევს სხივებს. ირგვლივ მწვანე ტყეები, მობიბინე ყანები. შორს ცის დასალიერზე მოსჩანს ძველი ციხის—ქოროღლის ნანგრევები. საამოდ ჰჭრის კოჯრის გრილი, მაცოცხლებელი ნიავი.

წითელყელსახვევიანი გოგონებისა და ბიჭუნების დიდი ჯგუფი მინდვრის ფერადფერადი ყვავილების კონებით ხელში მხიარული ყიჟინით ბანაკისკენ მიისწრაფის.

ბანაკში დიდი გამოცოცხლებაა, ყველგან გაისმის ბავშვების მხიარული შეძახილები.

აგერ ერთი ჯგუფი გულმოდგინებით რთავს ბანაკის ტერიტორიას ლოზუნგებით, პლაკატებით და წითელი ალმებით. ორი ბიჭუნა შესასვლელთან ამაგრებს ვეებერთელა პლაკატს წარწერით: „მადლობა ძია სტალინს ბედნიერი ბავშვობისათვის“. იქვე მახლობლად რამდენიმე გოგონა ბელადის სურათს შემოხვევია და ცოცხალი ყვავილებით ამკობენ.

პიონერთა ოთახიდან სიმღერა მოისმის. ეს რაზმეულის მომღერალთა გუნდი ემზადება საზეიმო პიონერული კოცონისათვის.

ბავშვთა თვითშემოქმედების ჩვენება

იქვე პიონერები საბანაკო კედლის გაზეთის „პიონერის ხმის“ ახალ, ლამაზად გაფორმებულ ნომერს დასტრიალებენ, თვალსაჩინო ადგილზე აკრავენ.

სპორტულ მოედანზე ნორჩი ფიზკულტურელები შეკრებილან. რთულ აკრობატულ ნომრებს და თავისუფალი ვარჯიშის ლამაზ ილეთებს იმეორებენ.

ეს მოფუსფუსე გოგონები და ბიჭუნები საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის კოჯრის ბანაკის პიონერები არიან. ისინი დღეს საბჭოთა კავშირის გმირს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ოთარ ჩეჩელაშვილს უწყობენ შეხვედრას.

... დადგა სანატრელი წამი. გაისმა პიონერული მარში, მედროშეს მოაქვს რაზმეულის დროშა. საბანაკო ხაზზე მდგომი პიონერული რაზმეული მხურვალედ მიესალმა ძვირფას სტუმარს. შეხვედრა ხუთოსანმა პიონერმა ნელი ჭელიძემ გახსნა. გმირის ბიოგრაფია დამსწრეთ მესამე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მზია ბუბაშვილმა გააცნო. შემდეგ ოთარ ჩეჩელაშვილი თვით მოუყვა ბავშვებს რამდენიმე ეპიზოდი თავისი საბრძოლო ცხოვრებიდან. საზეიმო ხაზზე პიონერმა ნუნუ გოგაშვილმა სტუმარს წითელი პიონერული ყელსახვევი გაუკეთა. რაზმეულის შეკრებამ გმირი საპატიო პიონერად აირჩია. ამის შემდეგ დაიწყო ბავშვთა თვითშემოქმედების ჩვენება. დიდხანს სცვლიდნენ ერთმანეთს ნორჩი მოცეკვავენი, მომღერლები, აკრობატები. აგერ ჰაერში ქართული „იავნანას“ ტკბილი ჰანგები დაირხა. წრეში პატარა, ცისფერთვალება გოგონა ნუნუ გოგაშვილი გამოვიდა და ამაღელვებელი, გულშიჩამწვდომი ხმით შანშიაშვილის ლექსის „დედისერთა ლენინთან“ კითხვა დაიწყო. უყურებ მის ნათელ, ბედნიერებისაგან გასხივოსნებულ სახეს, და, ძალაუნებურად, გაგონდება მისი პატარა ბიოგრაფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი წლის იყო ნუნუ, როცა საყვარელმა მამამ უკანასკნელად ჩაიკრა გულში და სამშობლოს გასაქელად მოსულ მტერთან საომრად წავიდა. მას შემდეგ არ უნახავს მამა, იგი მტერთან ბრძოლაში მამაცური სიკვდილით დაეცა. დედის ალერსიც მალე მოაკლდა ნუნუს და, უმცროს დასთან ერთად, ბებიას დარჩა გასაზრდელად, მაგრამ ობლობა არ უგრძვნია პატარას. სამშობლომ, ფრონტზე დაღუპულ სხვა მებრძოლთა შვილებთან ერთად, მასზეც იზრუნა. ყველა პირობა შეუქმნა, რომ ბედნიერი და ჯანსაღი გაიზარდოს, ბეჯითად ისწავლოს და ამაგდარი სამშობლოს ღირსეული ქალიშვილი გამოვიდეს.

ლაშქრობა ციხე ქოროღლზე

ზაფხულის უკანასკნელი დღე დასასრულს მიუახლოვდა. ბინდი ჩამოწვა. ბავშვებმა პიონერული კოცონი გააჩაღეს. კვლავ ცეკვავენ, მღერიან, შორს ისმის მათი წკრიალა ხმები. მღერის სტალინური მზრუნველობის მზით გამთბარი ნორჩი თაობა და თავის სიმღერებში ადიდებს მას, ვინც კარგი და ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა, ადიდებს საყვარელ ბელადს დიდ სტალინს.

ასე გაატარეს ამ ბანაკის პიონერებმა ერთი დღე.

დილით საყვირის ხმაზე კვლავ გაიღვიძებს ბანაკი, დილის გამამხნევებელი ვარჯიშისა და ტუალეტის შემდეგ რაზმებად მოეწყობიან და ისე მივლენ ხაზზე, ანძაზე ალმის აწევის საზეიმო წუთი და ბანაკში ახალი ხალისით სავსე დღე დაიწყება.

გემრიელი, ნოყიერი საუზმის შემდეგ თითოეული ბავშვი თავის საყვარელ საქმეს ჰკიდებს ხელს. ნორჩი ნატურალისტები ადგენენ ჰერბარიუმებს, კოლექციებს. ლიტერატურული წრის წევრები ახალ, მხატვრულ ნაწარმოებებს არჩევენ, ფიზკულტურელებმა უკვე ჩაატარეს სპარტაკიადა, გამოუშვეს სპარტაკიადისადმი მიძღვნილი ბიულეტენი „ნორჩი ფიზკულტურელი". ბანაკის ფრენბურთელები და ფეხბურთელები ამხანაგურ შეხვედრებს აწყობენ მეზობელი ბანაკის გუნდებთან. ბანაკის პიონერთა რაზმეულის ოთხივე რაზმმა ჩაატარა ლაშქრობა „ქოროღლზე", იქ სამხედრო თამაშობა—„საიდუმლო ამანათის" ძებნა მოაწყეს, მოაწყეს მოძრავი ბიბლიოთეკა. აქ ბავშვები არა მარტო ფიზიკურად ჯანსაღდებიან, არამედ იმტკიცებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას. რამდენ წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ ბავშვების მეხსიერებაში საუბრები კოცონთან, ლაშქრობები, ექსკურსიები, შეხვედრები ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან.

კითხულობთ ბანაკიდან წასულ პიონერთა წერილებს, დღიურებს, შთაბეჭდილების წიგნში მათ ჩანაწერებს და რწმუნდებით, რომ ეს ბავშვური, ჯერ კიდევ გაუმართავი ხელით დაწერილი ბარათები გამსჭვალულია გულწრფელი მადლობის გრძნობით სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბელადისადმი. გამსჭვალულია იმის ღრმა შეგნებით, რომ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი ბავშვთა ნამდვილი ბედნიერება.

გაივლის პიონერული ზაფხულის წარმტაცი დღეები. წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები კვლავ შეიკრიბებიან პიონერულ კოცონებზე, ერთხელ კიდევ მიმართავენ დედასამშობლოს უსაზღვრო მადლობის გრძნობით გამთბარი სიტყვებით და გაჯანსაღებულნი, ახალი ენერგიით მშობლიურ სკოლებს მიაშურებენ.

ბ. შელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



რკინის ტაბიკებს ღუნავდი,
ქედს გედგა ძელქვის უღელი,
და ჯაფის შემდეგ სამყურის
დამათრობელი სურნელით
სათიბში იზლაზნებოდი,
ვით მთის კალთაზე ღრუბელი...

ხან მუხის ჩრდილში იწექი,
მუხის კუნძივით ძვალმსხვილი,
ხან გუთნის კვალი გაგქონდა,
გუთნისდედების ძახილით,
ხან მლაშე კოდის წყალს სვამდი.
საღამოჟამზე დაღლილი.

მუდამ ერთგულად მისდევდი
საწუთროს აღმართ-დაღმართებს,
ცხოვრების ჭაპანს სჭიმავდი,
ჩვენ სამდურავი არ გვმართებს.
შენი მაგარი ჩლიქები
ცხელ მიწას ნალით დაღავდნენ.

დასაბამიდან სოფელში
ქედს გედგა ძელქვის უღელი,
მწიფე ყანისთვის შრომობდი
გულდინჯი, ენაუთქმელი.
კვირა დღით კბილებს გკვეთავდა
ნედლი ნეკერჩხლის ფურცელი.

იცოხნებოდი, სათიბის
მწვანეში შუბლდაცვარული,
ღამით ვარსკვლავებს უცქერდი,
რქებზე ცა გედგა ქართული,
და ჯავრით გაგონდებოდა
ურემი ლაფში ჩაფლული.

კვლავ შენს ნამუხლარ ჭალებში
სიმწიფე ჰშვენით ტაროებს,
რკინით ვთესავთ და რკინით ვმკით,
რაც ფოლადს დავეპატრონეთ.
დამწიფებული ყანები
მხოლოდ ბეღლებს-ღა ნატრობენ...

ხარს რკინა წამოგაშველეთ,
გაჰფანტე დარდის ღრუბელი,
ტრაქტორის ოდენს ვერ გასწევს
ეგ შენი მკვრივი მუხლები,
თუმცა კლდეს გლეჯდი,
გაგქონდა ბოლომდე ძელქვის უღელი...

ჩვენ სხვა ეპოქის მკვიდრნი ვართ,
რკინასთან დაგვაძმობილეს,
მთასა ვთხრით რკინის ეშვებით,
ცოტა არ გვაკმაყოფილებს,—
ჯილაგს ფოლადი გვიმაგრებს,
ბუმბერაზებად შობილებს.

შალვა ფორჩხიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეს მოხდა თერთმეტი წლის წინათ, უკრაინაში, სუმსკის ოლქის პატარა ქალაქ კროლევცში. მუშა-ქალის ანა ნიკიტას-ასულ შულიაკის ოჯახში, გაზაფხულზე, მოულოდნელად მძიმედ ავად გახდა ორი წლის გოგონა ნინა.

პირველსავე დღეს გოგონა რამდენიმე ექიმმა ნახა. მათ ურჩიეს კიევიდან გამოეწვიათ ექიმი.

კიეველმა სპეციალისტმა, რომელიც თვითმფრინავით ჩამოიყვანეს, ასეთი დიაგნოზი დასვა: ტვინის გარსების ანთება, ფილტვების ორმხრივი და შუა ყურის ანთება. ექიმმა ანა ნიკიტას-ასულს გადასცა წამლები და მთელი რიგი დარიგებები მისცა. მეტის გაკეთება მას არ შეეძლო.

მალე ბავშვი უარესად გახდა, გრძნობა დაჰკარგა. სასოწარკვეთილებამდე მისულმა დედამ გადასწყვიტა მიემართა იმ ადამიანისათვის, რომლის ზრუნვა საბჭოთა ბავშვებზე უსაზღვროა. მან ელვა დეპეშა გააგზავნა მოსკოვში იოსებ ბესარიონის-ძე სტალინთან:

„ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მიკვდება ჩემი ერთადერთი ქალიშვილი. გევედრებით იხსნათ, გამომიგზავნოთ პროფესორი“.

განთიადისას კროლევცში საპასუხო დეპეშა მიიღეს:

„თქვენთან გამოგზავნილია სპეციალისტი. გვაცნობეთ შესრულება და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა“.

მალე თვითმფრინავით ექიმი ჩამოვიდა.

გამოცდილმა სპეციალისტმა ნინას ოპერაცია გაუკეთა. გოგონას ტემპერატურა დაუვარდა, ოპერაციის მესამე დღეს გრძნობაზე მოვიდა, ორგანიზმის დამბლადაცემულმა ნაწილებმა აღდგენა იწყეს.

სამი თვის შემდეგ ნინა ფეხზე წამოდგა.

გამოუთქმელია ის უდიდესი მადლობა, რომელსაც ანა ნიკიტას-ასული გრძნობდა დიდი სტალინის მიმართ.

ახლა 1950 წელია. ჩვენ კროლევცის ნაცვლად კონოტოპში ვართ, ფურმანოვის ქუჩაზე ნომერ 45 სახლში. აქ ცხოვრობს ანა ნიკიტას-ასული შულიაკი თავისი ქალიშვილით.

თერთმეტი წელი გავიდა ნინას გადარჩენის დროიდან. რას აკეთებს ახლა გოგონა, როგორ ცხოვრობს?

...კონოტოპი თითქოს თეთრი-ვარდისფერი შუქითაა გასხივოსნებული: ყვავიან ვაშლები, მსხლები, ალუბლები, ქლიავები. ერთსართულიანი სახლები ხეების იქით დამალულან.

ბაღიდან, რომელთანაც ჩვენ მივედით, გოგონების მხიარული ხმები მოისმოდა. ნინა და მისი მეგობრები პატარა მინდორზე შეკრებილნი მხატვრულად კითხულობდნენ: ისინი სკოლის თვითმმართველობითი საღამოსთვის ემზადებოდნენ.

ცამეტი წლის ნინა, მეხუთე კლასის მოსწავლე, მაღალი, ცისფერთვალება გოგონა, ლამაზად დაწნული ნაწნავებით თეთრ წინსაფარში, ხმამაღლა კითხულობდა ლექსებს.

ლ. ვ. მასიუტინამ, იმ სკოლის დირექტორმა, რომელშიც ნინა სწავლობს, გვითხრა:

— მძიმე ავადმყოფობამ, რაც გოგონამ გადაიტანა, რასაკვირველია, გავლენა მოახდინა მასზე. მაგრამ მას ისე, როგორც სხვა ჩამორჩენილ მოსწავლეებს, მასწავლებლების, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა კომიტეტის მიერ ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. იგი თანდათანობით სწორდებოდა და ახლა წარმატებით გადავიდა მეხუთე კლასში.

ნინას, რასაკვირველია, არაფერი ახსოვს იმის შესახებ, რაც მას კროლევცში შეემთხვა. მაგრამ ოჯახში არა ერთხელ უთქვამთ ამის შესახებ. და აი იგი თავის იდუმალ ოცნებას გვიმხელს:

— როცა გავიზრდები, ექიმი გავხდები. მინდა ავადმყოფ ბავშვებს დავეხმარო. და მთელ სიცოცხლეში ისე ვიზრუნებ ბავშვებზე, როგორც ჩემზე დიდმა სტალინმა იზრუნა.

ლეონიდ კოროგოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1949 წლის ზაფხული იყო, არდადეგები. სოფელში დეიდასთან გავემგზავრე. დეიდას ძალიან გაეხარდა ჩემი მისვლა, მეც მიხარიოდა, რომ ჩავედი. ვინახულე იქაური ამხანაგები.

ღამით ოთახში ვერ დავიძინე, დეიდაც დამეთანხმა და აივანზე მოაწყო ჩემი საწოლი.

გათენდა. ტოროლა ცას გაკვრია და დანავარდობს. აა! დღეს მაჯობე ადგომა? და მეც წამოვხტი ზეზე, ჩავირბინე წყაროზე და ხელპირი დავიბანე. რა კარგია ზაფხული. თავისუფლად ამოვისუნთქე. სერები, მწვანე, ტყეები თმაქოჩორა ჭაბუკებივით გამოიყურებიან. გამიტაცა ტყის სილამაზემ და, საუზმის შემდეგ, მეც იქითკენ გავწიე. ჩიტები ყივილ-ხივილით მიხმობდნენ, მეძახდნენ თავიანთკენ. მეც შევუერთდი მათ. გახარებული დავრბოდი, თან ყურს ვუგდებდი მათ მომხიბვლელ სტვენას. დავიღალე. ჩამოვჯექ ბორცვზე და თვალიერება დავუწყე ხეებზე მხტომ ჩიტებს. აი, ერთი ჩიტი შემოჯდა ხის ტოტზე და საამური სტვენა გააბა. სულგანაბული ვუსმენდი. უეცრად, საიდანღაც გამოძვრა პატარა თაგუნა, დასკუპდა უკანა ფეხებზე, კუდი გვერდზე გააგრძელა და გაირინდა. არასოდეს არ მენახა ასეთი მომხიბლავი სურათი. პირუტყვი, რომელსაც არაფერი არ აინტერესებს გარდა იმისა, რომ დაიკმაყოფილოს თავი საკვებით ზამთარსა და ზაფხულში, ახლა ჩემს წინ დასკუპულა, ვერც კი მაჩნევს, ისეა მოხიბლული ამ ჩიტის გალობით.

მოიქანცა ჩიტი, გალობა შეწყვიტა და გაფრინდა. თაგვსაც მოაგონდა თავისი საქმე და სწრაფად იქვე სოროში შეცუნცულდა. მე გამტერებული ვუცქერდი იმ ადგილს და ფიქრებმა შორს გამიტაცეს. მომაგონდა, უფრო პატარა რომ ვიყავი და მამას ხელმოკიდებული მივყავდი ქუჩაში. გზაში მოხუცი შემოგვხვდა, ხელში გალიები ეჭირა, რომლებშიც ჭრელი ჩიტუნები ხტოდნენ. მცირე თხოვნის შემდეგ, მამამ მიყიდა ერთი გალია თავისი ჩიტბატონათი. ჩემი „ტყვე" ჩამოვკიდე ფანჯარასთან და გულმოდგინედ ვუვლიდი. მზესუმზირას აკნატუნებდა, წყალში ჭყუმპალაობდა, დილით სტვენდა კიდეც. ჩიტბატონამ ძალე ოთახში ფრენაც დაიწყო. საკვები რომ მოუნდებოდა, გალიასთან მიფრინდებოდა, გაიხედ-გამოიხედავდა და შეფრინდებოდა შიგ. მემიყვარდა ჩიტები და გადავწყვიტე შემესწავლა მათი ცხოვრება. ფულს როგორც კი მომცემდნენ მშობლები, ვაგროვებდი, ვყიდულობდი ჩიტებს. ჩემს ჩიტბატონას კიდევ მივუმატე რამდენიმე ჩიტი.

დილით ადრე ამდგარი დავუყრიდი ჩიტებს საკენკს, გავუსუფთავებდი გალიებს, ძევცემდი წყალს და შევუდგებოდი გაკვეთილების მომზადებას. ძემდეგ ვკითხულობდი წიგნებს, განსაკუთრებით მიტაცებდნენ წიგნები ფრინველებზე და ცხოველებზე.

მოსწავლე გივი ლონგურაშვილი თავისი ჩიტით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5397

ჰო, იცის გიყვებოდით: ჩიტი გაფრინდა და თავვი სოროში შეძვრა. მე წამოვდექი და თავქვე დავეშვი. წავედი შინ და რაც ვნახე, ჩემს წიგნაკში ჩავიწერე. გავიცანი სოფლის ბიჭები, მწყემსები. მათთან ერთად დავდიოდი, ვათვალიერებდი ჩიტის ბუდეებსა და ჩიტებს თვალყურს ვადევნებდი, ვეცნობოდი, თუ რომელი ჩიტი სად იკეთებდა ბუდეს, ან რომელი ჩიტი რამდენ კვერცხს სდებს, ან რამდენჯერ მრავლდება.

ივლისის თვეში მივიღე დედისაგან ბარათი, რომ თბილისში ეწყობოდა რესპუბლიკური ოლიმპიადა. მეც დაუყოვნებლივ წამოვედი თბილისში ჩემი შედგენილი კოლექციით: მქონდა რამდენიმე ბუდე და კვერცხები.

თბილისში, აგრობიოლოგიურ სადგურში დავალება მომცეს დამეწერა წერილი ჩემი ჩიტების შესახებ. მეც დავწერე. ჩემი წერილი გაზეთ „ნორჩ ლენინელში" გამოქვეყნდა. რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველობა მივიღე და გამაგზავნეს კიევში ნორჩ ნატურალისტ-მიჩურინელების საკავშირო შეკრებაზე.

9 აგვისტოს დილის 8 საათზე ორ სხვა ნორჩ მიჩურინელთან გოგისთან და ნანულისთან ერთად მოსკოვის მატარებლით გავემგზავრე ქ. კიევში. საქართველოს მიდამოებს არ გავცილებოდი და ზღვაც არ მენახა. მომეწონა ლურჯად მღელვარე ზღვა, რომელიც შორს სადღაც უერთდებოდა ცის კიდურს.

კიევში ხალხით სავსე სადგურზე პიონერები და კომკავშირელები აღფრთოვანებით შეგვხვდნენ. გავეცანი ახალ ამხანაგებს.

ლამაზია კიევი, მომხიბლავია მისი განიერი და ფართო ქუჩები, რომელთა გასწვრივ ჩამწკრივებულან ხეები.

წაგვიყვანეს სასტუმროში, სადაც მრავალი ახალგაზრდა იყო ჩამოსული საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად.

შეკრება გაიხსნა 11 აგვისტოს მწვანე თეატრში. შეკრება გახსნა უკრაინის განათლების მინისტრმა საგჩუკმა. შემდეგ გამოვიდნენ შეკრების მონაწილე ახალგაზრდები.

მეორე დღეს სხდომები მიმდინარეობდა სექციების მიხედვით. ნატურალისტთა სექციის სხდომაზე მოსმენილი იქნა ჩემი სიტყვაც.

აი წაიკითხეს ჩემი გვარი. მე გული მიძგერს, როგორც არასოდეს, ვღელავ. ავდივარ სცენაზე ჩემი ნაწერებით ხელში. მათი შინაარსი ასეთია:



შევეჩვიე და შემეჩვივნენ პატარა მგალობლები. ოთახში ჩამოკიდებულ გალიებში მყავს სხვადასხვა სახის ჩიტები: მწვანულა, ჩიტბატონა, ცხრამუცელა, წიწკანა და სხვები. მათი სტვენა-გალობა გაისმის ყოველ განთიადს და მზის ჩასვლისას; ისინი არ გალობენ ცუდ ამინდში და სიცხეში. მათ ძალიან უყვართ მუსიკა, მუსიკასთან ერთად ისინი იწყებენ გალობას.

მე შევიჩვიე მწვანულა, რომელიც ელექტრონათურის სინათლეზე, მუსიკასთან ერთად, უსტვენს საამურად.

დავიჭირე პატარა ჩიტბატონა, რომლის სხეულს ძლივს ფარავდა ახლად ამოსული ბუმბული. მოვათავსე ცალკე გალიაში და ფრინველში მომხდარ ცვლილებებს აღვნიშნავდი ჩემს დაკვირვებების რვეულში. მაგალითად, ჩიტბატონა არ გაიზარდა ისეთი დიდი, როგორც ჩვეულებრივი ტყის ჩიტბატონა აზრდება, არც შეფერადება მიიღო ისეთი, არც სტვენს დედასავით. ჩემი ფიქრით, მიზეზი ყოველივე ამისა არის ის, რომ ჩემი ჩიტბატონა თავისუფლად არ დაფრინავდა, ვერ იკვებებოდა იმ საკენკით, რაც მას შეეძლო ჰქონოდა მინდვრად, ტყეში. მისი სტვენა არ წააგავს ჩიტბატონას გალობას, ეს იმიტომ, რომ მან ცალკე არ მოისმინა დედის გალობა. ამ ჩიტს განსაკუთრებით ვუვლი და ფუნთუშა დავარეკი.

ერთ დილას, როდესაც საკვებს ვაძლევდი, გალიის კარი ღია დამრჩენოდა, ჩიტბატონა გამოფრინდა გალიიდან და აივნის ღია ფანჯარაში გაფრინდა. ნალვლიანი გავცქეროდი და თანაც ბრაზი მომდიოდა ჩემს თავზე, როგორ დამემართა ყოველივე ეს! მთელ დღეს არაფრის ხალისი არ მქონდა. მაგრამ საღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოს ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: თავისივე გალიის ღია კარებზე დასკუპული ფუნთუშა შევნიშნე. მე ის ამ მდგომარეობაში დავტოვე. მეორე დილას ისევ გაფრინდა და კვლავ დაბრუნდა უკან. როდესაც საკენკს ვაძლევ სხვა ჩიტუნებს, ის თავს დამტრიალებს და ნელი ჭიკჭიკით მაცნობებს, რომ მასაც მივცე საკენკი. საცდელად იმისა, თუ შორიდან მოაგნებდა ჩემს სახლს, ის წავიყვანე ლისის ტბაზე და იქიდან გამოვუშვი. ჩემს შინ მოსვლამდის ის მოფრენილიყო და გალიის კარზე დამხვდა დასკუპული. მსურს ასევე მოვიშინაურო არწივის მართვე. არ ვიცი, შემეჩვევა თუ არა! ასეთია ჩემი დაკვირვებები ჩიტების შესახებ.

სიტყვა რომ დავამთავრე, მისურვეს წარმატება და გამარჯვება ჩემს ჩიტუნებთან მუშაობაში.

ნორჩ ნატურალისტ-მიჩურინელთა შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, მოპოებული გამარჯვებისათვის, დამაჯილდოვა ნორჩ ნატურალისტთა ქების სიგელით, ფოტოაპარატით და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“. ამჟამად ვსწავლობ თბილისის ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლის VIII კლასში. მთელი ენერგიით და სიყვარულით განვაგრძობ დაწყებულ საქმეს.

გიორგი ლონგურაშვილი

შესანიშნავი ხე

მიწაში რგავენ ბალახს (აგრე გეჩვენებათ პირველი შეხედვით), მაგრამ თქვენ გეუბნებიან, რომ ეს მომავალი ხეა. მართლაც, გადის რამდენიმე თვე და შემოდგომაზე ის უკვე კაცის სიმაღლეა. ხუთი წლის განმავლობაში მისი სიმაღლე 10 მეტრს და, ზოგჯერ, მეტსაც აღწევს. უძვირფასესი სუბტროპიკული მცენარის — ევკალიპტის ასეთ სწრაფ ზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყეობისათვის. ოცწლიანი ევკალიპტები თითოეულ ჰექტარზე იძლევა 800 კუბ. მეტრ მერქანს. ევკალიპტის მერქანი მეტად ხარისხოვანია, ის მუხაზე მაგარია და ფიქვზე მსუბუქი.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გვითქვამს ევკალიპტის შესახებ. ევკალიპტს უწოდებენ „ტუმბო-ხეს“. როგორც ტუმბო, ის ისრუტავს ნიადაგიდან სინესტეს. საქართველოში დიდი ხანია გამოყენებულია ევკალიპტების დარგვა ჭაობიანი ადგილების ამოსაშრობად.

ევკალიპტების ფოთლებიდან ღებულობენ რამდენიმე სახის ეთეროვან ზეთებს. მერქანის მშრალად გამოხდა იძლევა სპირტს, ქერქი კი წარმოადგენს ტყავის მშვენიერ სათრიმლავს.

წინათ ევკალიპტებს მხოლოდ საქართველოში ავრცელებდნენ. 1948 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება ევკალიპტების ყირიმში, უკრაინის სამხრეთ ნაწილში, აზერბაიჯანში და სსრ კავშირის დანარჩენ სამხრეთ რაიონებში გავრცელების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზანგი გოგო

ნიკოლოზ ჩაჩავა

პ ო ე მ ა

ნახ. შ. ცხადაძისა

I

ამერიკაში ცხოვრობს
ერთი ჯემსონი ნელი.
პატარა არის ნელი,
მეტად ჩუმი და ნული.
ჩალისფერი აქვს თმები,
შეუკრავს დიდი ბანტით.
ტანზე სხვა აცმევს ნელის,
თვითონ ზანტია, ზანტი.
დედა არა ჰყავს ნელის,
უვლის მამიდა ლოლო.
სულ მასთან არის ლოლო,
მხოლოდ მას დასდევს, მხოლოდ.
მაღალი არის ლოლო,
ძალზე გამხდარი, ხმელი.
ნელისაც უყვარს ლოლო,
ლოლოსაც უყვარს ნელი.

II

მამა ჰყავს კაპიტანი
მეზღვაურია ძველი.
შორს დაატარებს გემებს
ზორბა და შიშისმგვრელი.
ფულებს აგროვებს ბლომად,
არ ყოფნის გასაძლომად,
გემის მსახურებს აძლევს
ნიორთა ნაქურჩალას.
მის ხელში არის ფული.
მის ხელში არის ძალა.
გემზე ვერავინ ბედავს,
გამოსთქვას საყვედური,
უნდა იშრომონ დღეღამ,
რომ სჭამონ ლუკმა პური.

III

— როდის ჩამოვა მამა,
რას ჩამომიტანს ნეტავ?
არ წამიყვანა თანა.
რატომ არ გაიმეტა
ჩემთვის ადგილი გემზე?
მერე ვტიროდი დიდხანს,
რაზედ ტირიო მკითხა.
მე არაფერი ვუთხარ,
გული სულ დამეთუთქა.
ახლა ჩამოვა მალე,
მამიკო მოვა ხვალე,
მოიყვანს დიდი გემი,
მოვა მამიკო ჩემი.—
ასე უყვება ნელი
თოჯინას კარგს და ლამაზს.
ელის, ყოველდღე ელის
ნელი შორს წასულ მამას.

IV

დიდხან ელოდა ნელი,
აი მოვიდა მამა,
საჩუქრად მოუყვანა
პატარა ზანგი გოგო
და მაიმუნი თანაც.
მაიმუნს მენგო ჰქვია,
მამიკოს უყიდია
ნელისთვის სადღაც გზაში.
მეი, გოგონა შავი
პატარა, საცოდავი.
გემზე აჩუქეს თურმე,—
მოყავდათ უცხო სტუმრებს.
მენგოს მოუვლის მეი,
სხვად რად სჭირდება მეი!
მეი წაართვეს დედას,
დედას წაართვეს გოგო.
დედა და შვილი ერთად
როგორ ტიროდნენ, როგორ!
მაგრამ ტირილი მათი
ვერვინ გაიგო, ვერა.
ზანგის წუხილი რადგან
ბატონებს არა სჯერათ.

V

მენგოს და მეის მისცეს
ერთი პატარა ბინა.
სახლის კუნჭულში სადღაც—
აივნის განაპირას.
უყიდეს მენგოს ბევრი
ქუდი და ტანსაცმელი:
კოხტად ჩააცვეს მენგოს,
რომ გაახარონ ნელი.
ყოველდღე მოაქვს ლოლოს
მენგოსთვის შაქარლამა.
მეის არ აძლევს ნამცხვარს,
მეის რად უნდა ჭამა!
„არ გაცივდესო მენგო,
მენგო იყოსო თბილად",—
მამიდა ლოლო მეის
ასე არიგებს ხშირად.

VI

— მეი, სად არის ნელი?
— მენგო რად არის სველი?
—მეი გაიქეც იქით.
— მეი გაიქეც აქეთ.
დღე და ღამ შრომობს მეი,
მაინც არავინ აქებს.
ვინ უნდა აქოს მეი.
მეი რად უნდა აქონ?!
უნდა აკეთოს მეიმ,
რაც უნდა დაასაქმონ.
მეიმ ირბინოს იქით,
მეიმ ირბინოს აქეთ.
ზანგი რომ არის მეი,
იმიტომ არვინ აქებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მეი რადა ხარ შავი?
— რად გაქვს ასეთი თავი?
— რად შგევხარ ბინძურ გოგოს?
როგორ დასვრილხარ, როგორ!—
ხან ნელი ჰკითხავს მეის,
ხანაც მამიდა ლოლო.
სუფთაა ზანგი გოგო,
რა ჰქნას, შავია მხოლოდ.

VII

ერთხელ ჩაიცვა მეიმ
მენგოს გაშლილი კაბა.
შინაც არავინ იყო,
ვინ დაუშლიდა, აბა.,
რა უხდებოდა მეის
მენგოს კაბა და ქუდი!
კარგად რომ ეცვას მეის,
აბა, რად არის ცუდი!
მღეროდა ზანგი გოგო,
როგორა ხტოდა, როგორ!
სად გაგონილა, აბა,
მაიმუნს ეცვას კაბა!
სად გაგონილა გოგოს
არ ჰქონდეს ტანსაცმელი!
ბევრი აქვს ტანსაცმელი
მაიმუნსა და ნელის.
როგორ უხდება მეის
მენგოს კაბა და ქუდი!
კარგად რომ ეცვას მეის
აბა, რად არის ცუდი!
უცებ გაიღო კარი,
მოვარდა, როგორც ქარი—
ლოლო, მამიდა ნელის,
გამწყრალი, საშინელი.
მეის შეავლო თვალი,
აყვირდა მთელი ძალით:
— ეს რა გაბედა მაგან,
ახლავე დასწვით კაბა!
ზანგის ჩანაცვამ კაბას
ხელს ვინ მოჰკიდებს, აბა!
ნელი, არ ახლო ხელი,
არ მიეკარო, ნელი!
არ დამენახოს, არა.
გააგდეთ ზანგის გოგო.
ბინძური, მეტიჩარა.
ო, როგორა მძულს, როგორ!—
გასცა ბრძანება ლოლომ,
იმას უსმენენ მხოლოდ.

VIII

ზლუქუნებს ზანგი გოგო,
ო, როგორ ტირის, როგორ.
არვინ არა ჰყავს, არა,
აბა, ვინ დაიფარავს!
„მშვიდობით ჩემო მენგო,
იქნებ არასდროს გვერგოს
ჩვენ ერთმანეთის ნახვა.
შავი, რადა ვარ, შავი,
ასეთი საცოდავი!“
ზლუქუნებს ზანგი გოგო,
ო, როგორ ტირის, როგორ!
არვინ არა ჰყავს, არა,
აბა ვინ დაიფარავს!
„სადღა წავიდე, მითხარ,
მენგო, რად არა მკითხავ?“
ამბობს ჩურჩულით მეი.
სადღა წავიდეს მეი!
მეის არა აქვს ბინა,
მეის მშობლები არ ჰყავს.
ბევრზე ბევრია სახლი,
ბევრზე ბევრია ბინა,
არ იკარებენ ახლოს,
არავინ დააძინა.
მეის ვინ მისცემს ოთახს,
ვინ მიაშვებს კუთხეს.
— შენთვის არ გვაქსო ბინა,
ზანგი რად ხარო უთხრეს.
დახეტიალოს მეი,
როგორც მშიერი ძაღლი.
მეის არა აქვს ბინა,
მეის არა აქვს სახლი.
გარეულ საშინლად ყეფავს,
ცაზე ვარსკვლავი ბრწყინავს.

IX

სიცივე არის, ჰყინავს,
მეის ზღვისპირას ძინავს.
სიზმარში ახლო ხედავს
თავის საყვარელ დედას.
დედას ეხვევა გოგო.
ო, როგორ ტირის, როგორ!
— დედავ, მარტო ვარ დედავ,
მშია, არა მაქვს პური.
შენ შემოგევლე დედავ,
კარგად დამიგდე ყური.
აქ ველარ გავძლებ, ვერა,
თან წამიყვანე დედი.
აქ ჩვენი არვის სჯერა,
ეხაა ზანგის ბედი.—
მეი სიზმარში ტირის,
აწუხებს გასაჭირი.

X

მეზღვაურების გუნდი
გემზე ბრუნდება ლამით.
ჩუმი ტირილი ესმით,
შეჩერდნენ ერთი წამით.
ხაბეოთა მეზღვაურებს
გული აქვთ, სულ სხვა გული,
საბეოთა ქვეყანაში
სიკეთით გავსებული.
როგორ დატოვონ ბავშვი
ყინვაში ღამე, გარეთ.
— შეხედეთ, როგორ ტირის!
ტირის, ზლუქუნებს მწარედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გოგოა, ზანგი გოგო,
ო, როგორ ცივა, როგორ!
— უპატრონოა, ალბათ
არა ჰყავს მამა, დედა.
— შეხედეთ, გაეღვიძა.
— შეხედეთ, შემოგვხედა.
მეი უყურებს ყველას,
თითქო ითხოვსო შველას.
თითქოს-და ეშინია:
„რა უნდათ ასე გვიან.
რა უნდათ, რა სურთ, ნეტავ,
დედავ, მიშველე დედავ!"
უნდა გაიქცეს მეი,
მეის გაქცევა უნდა.
როგორ გაიქცეს მეი,
შემოხვევიან გუნდად.
ერთმა ზანგურად უთხრა:
— ნუ გეშინია გოგოვ.
გოგოვ, მშიშარა ნუ ხარ,
ჩვენ სხვა ხალხი ვართ, გოგოვ.
აქვეა ჩვენი გემი,
დიდი საბჭოთა გემი,
ადექ, წამოდი ჩვენთან,
გემზე წავიდეთ ერთად.
მოგცემთ ტანსაცმელს, ბინას,
თბილად რომ დაგეძინოს.
იქ გვყავს პატარა გოგო,
შენსავით პაწაწინა,
სვეტლანას ეძახიან
ცელქსა და ქერათმიანს.—
თავზე ევლება ყველა,
ეფერებიან გოგოს.
ასეთი მოფერება,
როგორ აკვირვებს, როგორ!

უნდა წავიდეს მეი,
სხვა გზა არა აქვს მეის.
ქალაქში არვინ არ ჰყავს,
მარტოკამ, აბა, რა ჰქნას!

XI

გემზე დაბანეს მეი,
გაასუფთავეს ხელად,
სვეტლანას კაბა მისცეს
დილისთვის ჩასაცმელად.
სუფთა საცვლები მოაქვთ,
უცვლიან ლეიბს, საბანს.
ახლა ხომ ძილის დროა,
ვერ ჩააცმევენ კაბას.
ო, როგორ უნდა მეის
კაბა ახლავე ნახოს.
სასთუმალს გაისწორებს,
სკამს მოაჩოჩებს ახლოს.
ლოგინში წევს და ნატრობს:
„ჩქარა გათენდეს ნეტავ!
ნეტავ აქ იყოს დედა,
სულ ჩემთან იყოს დედა!
დილით ჩაიცმევს კაბას,
გამოეწყობა გოგო,
მაშინ შეხედონ, აბა,
როგორ უხდება, როგორ!"
ასე ფიქრობს, და ძილი
მეის უხუჭავს თვალებს.
ადრე ადგება დილით,
მალე გათენდეს, მალე!

XII

მეის ეძინა წტკბილად,
გათენდა კარგი დილა.
ახარეს თბილი ბინა,
სასთუმალს უდევს კაბა:
ნახეთ, შეხედეთ, აბა,
რა კარგი არის კაბა.

უცებ ჩაიცვა მეიმ
ახალი ტანსაცმელი.
როგორ უხდება, როგორ
სვეტლანას კაბა გოგოს!
უცებ გაიღო კარი,
მოვიდა მეგობარი—
ქერათმიანი გოგო.
როგორ შეშინდა, როგორ
პატარა ზანგი გოგო.
უცებ ეგონა მეის,
გაუწყრებოდნენ მეის:
„რატომ ხტისა და მღერის!"
სვეტლანა ედგა წინა
კოხტა და პაწაწინა.
ორი თოჯინა ჰყავდა
ის გამწყრალს სულ არ გავდა.
— შენ მეის გეძახიან?
მე კი სვეტლანა მქვია.
მამა მყავს კაპიტანი,
იცი როგორი მამა?!

არავის არა ყავს, არა,
მამიკო ამისთანა.
მამამ თოჯინა მომცა,
ეს თეთრი დათუნიაც,
ეს ცელქი და წუნია.
მეი, თოჯინა გქონდეს,
მე სხვას მიყიდის მამა.
მეი წავიდეთ ერთად,
მეი არ გინდა ჭამა?
ჩემი დედიკო გველის,
ვჭამოთ ნამცხვარი ბევრი.

XIII

კოხტად გაშლილი სუფრა
მეტად თეთრი და სუფთა—
ეპატიჟება მეის:
— ჭამე,
მიირთვი რამე.
მეი უყურებს ყველას,
მიჩერებია ყველას,
უყურებს თავის კაბას,
როგორ მოიქცეს, აბა.
როგორ უხდება, როგორ
სვეტლანას კაბა გოგოს!
რა ლამაზია მეი!
რა მოხდენილი, კოხტა.

ვერ გარკვეულა მეი,
სადაა, როგორ მოხდა.
თავს ევლებიან მეის,
კარგი ყოფილა ზანგიც.
სვეტლანას გვერდით უზის,
მეიც კარგია, კარგი.
მეის აძლევენ საჭმელს
ნამცხვარს და შაქარლამას.
თავს ევლებიან მეის,
არავინ უშლის ჭამას.
— რაც გინდა სჭამე, მეი,
ეს სულ შენია, მეი. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს სვეტლანას დედა,
სუფრაზე ერთად სხედან.

XIV

სიზმარია თუ ცხადი!
ვერ გარკვეულა მეი.
გემბანზე ისე დადის,
თითქო შინ იყოს მეი.
მარტო არ არის მეი,
მეგობარი ჰყავს მეის.
სვეტლანას ეძახიან
გოგონას ქერაა.მიანს.
ყველგან ატარებს მეის,
ყოველ კუნჭულს და კუთხეს.
„მეგობარი გყავს კარგი“
სვეტლანას ასე უთხრეს.

მეი სვეტლანას დასდევს,
მეი ყველაფერს ხედავს.
თუმც უბარია მეის,
მაინც ვერაფერს ბედავს.
სვეტლანას დასდევს მეი,
თოჯინას იკრავს გულში.
დღეს სად მოსულა მეი,
გუშინ სად იყო, გუშინ!
არვინ აძლევდა საჭმელს,
არ იკარებდნენ ახლოს.
ახლა შეხედონ მეის,
თავისი თვალით ნახონ,
რა ამბავშია მეი,
როგორ უვლიან მეის,
გახარებული მეი
როგორ ხტისა და მღერის!

უცებ შეჩერდა მეი,
შეხედა ძიას სურათს;
ძია ულიმის მეის,
მეიმ არ იცის თუ რად.
„ნეტავ ვინ არის, ნეტავ?!“
ფიქრობს და თქმას ვერ ბედავს.
— აი შეხედე მეი,
ეს არის ჩვენი ძია,
დიდი სტალინი ჰქვია.
იგი ყველაზე ფიქრობს,
მეი, შენზედაც ფიქრობს.
რომ კარგად იყოს ყველა,
ყველგან სიცოცხლე იყოს.—
მეიც ულიმის ძიას,
ძიას სტალინი ჰქვია.

გმირი გოგონა

სოციალისტური შრომის გმირი, მოსწავლე
ნათელა ჩელებაძე

— როგორ მოიღრუბლა, შვილო ნათელა, ალბათ მალე წვიმა დაიწყება და ხელი შეგეშლება,—ეუბნებოდა ასლან ჩელებაძე თავის ბალიშვილს, რომელიც გადამლილ წიგნს ჩაჰყურებდა. ქერა გოგონამ ოდნავ წამოსწია დახრილი თავი.

გაღებულ ფანჯარაში რუხი ცის ოთხკუთხედი და სოფელ კვირიკეს ქოჩორა ბორცვების გრეხილები მოჩანდა.

— წვიმა აუცილებლად მოვა, — წყნარად თქვა ამინდით უკმაყოფილო გოგონამ. იგი წამოდგა, პლანტაციაზე წასასვლელად მოემზადა. აივნიდან ზღვას მოავლო თვალი. ძალზე ჩამუქებულიყო ჰორიზონტი. დაიგრგვინა... ელვის ტეხილმა ხაზებმა გაისრიალეს ქობულეთისაკენ. ირიბი წვიმა ახმაურდა სახლის კრამიტიან სახურავზე, მსხმოიარე ლიმონებისა და მანდარინების ფოთლებზე...

— საწვიმარი, ჩქარა!—მიაძახა ნათელამ თავის პატარა ძმას.

— შვილო, ასეთ ამინდში მუშაობა გაგიძნელდება! — სწუხდა ნათელას დედა მარიამი.

— შაქარი ხომ არა ვარ დავდნე, სამაგიეროდ მაღალი ხარისხის ფოთოლს დავკრეფ, დაყოვნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ხომ გამიუხეშდა ჩაი!—ამბობდა ნათელა და თან საწერ მაგიდაზე წიგნებს ალაგებდა.

—სადილი იქ ჩამომიტანე, დედა! — მიაძახა ნათელამ, როცა კალათით ხელში მეორე სართულიდან ეზოში ჩავიდა.

— შენ კი გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე.— წარმოსთქვა მარიამმა.

ცოლ-ქმარი ფანჯარასთან იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ ნათელას, რომელიც ბაღებში გაწოლილი გზით ჩაის პლანტაციებისაკენ მიიჩქაროდა.

ქერა ნაწნავებიანი გოგონა მალე გასცდა სოფელს. იგი ალერსიანად გაჰყურებს მშობლიურ ადგილებს. ნაცრისფერ ჰაერში ნაბადწამოსხმული მხედრებივით მოჩანან წიწვიანი ტყით დათარეული კინკიბასა და ხალას მთები. წვიმა კი მოდის შეუსვენებლად. შხუის აგურისფრად ატალახებული გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ევკალიპტების ფოთლებზე.

გზის მარჯვნივ და მარცხნივ გადაჭიმულა ნათელას მიერ დამუშავებული ნახევარი ჰექტარი პლანტაცია. აქ ჩაის ბუჩქები ერთი მეორეზე მიჯრილ ზღვის აგორებულ ტალღებს მოგვაგონებს. ნათელას ყურადღებიან თვალს ერთი სარეველა ბალახიც კი არ დარჩენია შეუმჩნეველი, მათგან დროზე გაუთავისუფლებია ყოველი ბუჩქი.

თავაუღებლად მუშაობდა აქ ნათელა გაკვეთილების შემდეგ. ყოველ თავისუფალ წუთს აქ ატარებდა. ეს იყო მისი დასვენება. დაბარა, დაფარცხა, ფოსფორი შეიტანა ნიადაგში. მზრუნველი ხელი მალე დაეტყო ნაკვეთს.

თავაუღებლად მუშაობს ნათელა ახლაც. მისი თეთრი თითები სწრაფად მოძრაობენ ჩაის ფოთლებზე. ისინი თვალის დახამხამების უმალ ჰყრიან კალათში ახლად დაკრეფილ ფოთლებს. მათი მოკრეფის მცირე დაგვიანება, — და მაღალხარისხიანობა დაკარგულია. სწორედ ამიტომ იჩქარის ნათელა.

წვიმა მხოლოდ შუადღისას შეწყდა. გაცრეცილ ღრუბლებს შორის მზემ გამოანათა. გოგონამ შეისვენა. ტალღოვან ბუჩქებს გახედა. ნაწვიმარზე ათასფრად ლივლივებდნენ ისინი. ალმასებივით ბწკიალებდნენ ქარვისფერ შუქზე ახლადმოკრეფილი ჩაის ჩვილი ფოთლები.

ამ სილამაზით მოხიბლული გოგონა, მიხდაუნებურად, ტკბილმა ოცნებამ წაიღო. გმირობა შრომაში... აი გოგონას ფიქრი. კოლმეურნეთა კრებაზე მან ახალგაზრდული გაბედულებითა და სითამამით განაცხადა,

რომ მას სურს სამშობლოს მისცეს თავისი ხელით მოყვანილი უხვი მოსავალი.

აგონდება ნათელას, როგორ გაამხნევა იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, როგორი გულწრფელობით უსურვა წარმატება მუშაობაში, როცა ნაკვეთი მიუზომა და ჩააბარა.

იმავე დღიდან ნათელა ახალგაზრდული მხნეობით შეება საქმეს. გაპიროვნებული ნაკვეთი 25 სანტიმეტრის სიღრმეზე დაბარა, დროზე შეიტანა მინერალური სასუქი ფოსფორი. ყოველი თოხნის დროს ნიადაგს აზოტით ამდიდრებდა, პლანტაციას ნაკელწყლით, ან როგორც აქ ეძახიან „ეიეით" რწყავდა. მთელი სოფელი განცვიფრებული იყო ამ კომკავშირელი გოგონას უშრეტი ენერგიით.

14 წლისამ შვიდასი მანეთი მიიღო ჯილდოდ ჩაის კრეფაში.

— ნათელა ისეთი მარჯვეა და ბეჯითი, რომ ქვასაც კი ააყვავებს!.. — მოაგონდა გოგონას სოფლის პარტორგანიზაციის მდივნის სიტყვები.

ფიქრებში გართული ნათელა ნაბიჯების ხმამ გამოარკვია. გზაზე მოდიოდა მხარზე კალთაშედგმული სამუალო ტანის ქალი. ეს იყო დედამისი, ექვსი შვილის გამზრდელი, ორდენოსანი მარიამი.

— კარგია, სადილი რომ მომიტანე დედა, სახლში ამოსვლა აღარ დამჭირდება, არ გავცდები; ხომ ხედავ, წუთსაც არ მოიცდის ჩემი პლანტაცია.

დედა-შვილი ხანდაზმული ევკალიპტების ქვეშ მოკალათდნენ...

ყოველდღიურად იბრძოდა მაღალი მოსავლისათვის კომკავშირული სიტყვის შესასრულებლად ქერათმიანი გოგონა.

... და ნათელამ მართლაც ასახელა სამშობლო, კომკავშირი, მშობლიური სოფელი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის სამუალო სკოლა, სადაც იგი სწავლობს.

1948 წელს ნათელა ასლანის ასულმა ჩელებაძემ ნახევარ ჰექტარ ფართობზე მოკრიფა 6.750 კილოგრამი მაღალი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი. ასეთი წარმატებისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. გმირი გოგონას შესახებ ვრცელი წერილები დაიბეჭდა ჩვენი სამშობლოს ჟურნალებსა და გაზეთებში. ნათელა ჩელებაძის სახელი ფართოდ ცნობილი გახდა. ახლა ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებშიც კი იცნობენ მას, პირველ გმირ მოწაფეს. ამაზე დამაჯერებლად მეტყველებენ ის უამრავი ბარათები, რომლებიც ნათელამ მიიღო სსრ კავშირის ყველა კუთხიდან, თვით შორეული ჩრდილოეთიდანაც კი. ეს წერილები ნათელას ფაქიზად აქვს შენახული. აი, თუნდაც ერთ-ერთი მათგანი. იგი გამოგზავნილია ჩვენი სამშობლოს შორეული ადგილიდან—ვერხოიანსკის რაიონის სოფელ ეგე-ხადიდან. წერილის ავტორია პიონერი პავლე ტოკარევი. იგი წერს, რომ ვერხოიანსკის პიონერები გულთბილ სალამს უძღვნიან ნათელას და სთხოვენ გაუგზავნოს მათ თავისი ფოტოსურათი და მის მიერ მოკრეფილი ჩაის რამდენიმე ფოთოლი.

პირადი მილოცვა მიიღო ნათელამ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრისაგან.

ოფიცერი ბატენინი კრონშტადტიდან წერს ნათელას, რომ მისი გმირობის შესახებ მან თავის ჯარისკაცებს ჩაუტარა პოლიტინფორმაცია.

ქართველმა ახალგაზრდებმა კარგად იციან, რომ ნათელას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

ნათელა ჩელებაძე არ კმაყოფილდება მოპოვებული წარმატებით. 1949 წელს მან კვლავ მოკრიფა 6.367 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მიმდინარე წელს იგი კვლავ შეუპოვრად კრეფს ჩაის მწვანე ფოთოლს.

ნათელა ჩელებაძე ამავე დროს წარმატებით გადავიდა მე-11 კლასში.

ᲙᲝᲯᲝ ᲛᲔᲡᲮᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგი მეგობრების თვალით

FRANCE ★ URSS

უძლეველ ციხე-სიმაგრედ არის აღმართული ჩვენი სამშობლო ევროპისა და აზიის უზარმაზარ კონტინენტზე, სადაც კომუნიზმისაკენ ბრძოლით, შრომითა და ზეიმით მიმავალი საბჭოთა ხალხი ყოველდღე ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს.

გულს უკლავს და ცოფსა ჰგვრის ეს გამარჯვებები საბჭოთა სახელმწიფოს მტრებს, მსოფლიოს ყველა ჯურის იმპერიალისტებს.

მაგრამ, ჩვენ მეგობრებიც ბევრი გვყავს. უზომოდ ახარებს და ბედნიერი მომავლის რწმენას უნერგავს მათ სოციალიზმის ქვეყნის მიღწევები. საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებებით აღფრთოვანებული მშრომელთა მილიონები უცხოეთში უფრო მეტი მრისხანებით აღმართავენ მუშტს თავიანთი ექსპლოატატორებისა და ჩვენი სამშობლოს მოსისხლე მტრების, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ამას მოწმობს საბჭოთა ბავშვებთან საუბრის დროს ფრანგი ხალხის გამოგზავნილი გამოჩენილი მეცნიერების, ხელოვნების მუშაკების, ინტელიგენციის პროგრესული ფენების წარმომადგენლების მიერ წარმოთქმული სიტყვები. ისინი — საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრები, ამასწინათ ესტუმრნენ ჩვენს ქვეყანას. მათ მრავალი მხარე, ქალაქი და სოფელი ინახულეს, ინტერესით გაეცნენ ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკათა სამეურნეო-კულტურულ წარმატებებს.

პარიზის ჟურნალის „საფრანგეთი — სსრ კავშირის“ 53-ე ნომერი ასახავს იმ შთაბეჭდილებებს, რაც სოციალიზმის დიდ სამშობლოში ჩვენმა პარიზელმა მეგობრებმა მიიღეს.

ჟურნალის წინაფურცელზე გამოხატულია ჩვენი ქვეყნის ბავშვები; ლაღად გამოფენილან ისინი გასული ზამთრის თოვლით გადათეთრებულ ველზე, თბილ ბეწვიან ქურქებში ჩაცმულნი, ციგებზე მოკალათებულან და ქროლვით ეშვებიან ზემოდან. სიხარულისა და ბედნიერების ღიმილი უბრწყინავს მათ სახეზე.

ჩვენი ბავშვების ბედნიერი ყოფის შესახებ მეტყველებს ჟურნალის მე-2 გვერდზე მოთავსებული ფოტოსურათი, სადაც მკითხველი ხედავს ქალაქ ივანოვოს ერთ-ერთი საბავშვო ბაღის ნორჩ აღსაზრდელებს; ლამაზი თოჯინები და სათამაშოები უჭირავს ხელში თითოეულს, ყველას თვალები უელავს, სახე უღიმის.

ჟურნალის შუა — გაერთიანებული ორი გვერდი (მე-10, მე-11 გვ.) დათმობილი აქვს მასალებს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლის შესახებ.

8 ფოტოსურათია განლაგებული წითელ ფონზე. ლამაზ პროსპექტს ამშვენებს დიდი, ლამაზი შენობა. ეს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლეა. მის ფართო აივანზე, რომელიც მშვენიერ ბაღს გადაჰყურებს, გამოფენილან დელეგაციის წევრები. სტუმრებს შორისაა სასახლის დირექტორი ელენე აგლაძე. ბიოლოგიის კაბინეტში მიკროსკოპებთან მიმსხდარი ნორჩი ბოტანიკოსების დალი შალიკაშვილის (34-სკოლა) და ლუბა შუშტაკაშვილის (მე-7 სკოლა) მუშაობას ათვალიერებს ფრანგი პროფესორი პრენატი.

ჟურნალის სახელწოდებაა — „საფრანგეთი—სსრკ“.

სტუმრების დიდი პატივისცემა დაუმსახურებია სასახ-
ლესთან არსებულ ქორეოგრაფიულ წრეს ანტონ ჩიხლა-
ძის ხელმძღვანელობით; მოცეკვავე პიონერი კახი რო-
სეფაშვილი შუაში ჩაუყენებიათ სახემღიმარე ფრანგებს
ი. ეიფელს და კ. მორგანს. შემდეგ ერთ-ერთ ფოტო-
სურათს გადაეყავხართ ლიტერატურის კაბინეტში. კე-
დელზე მოჩანს ილია ჭავჭავაძის დიდი პორტრეტი.
რგვალ მაგიდასთან შეკრებილან მოსწავლე ლიტერატო-
რები, მათ შორის 46-ე სკოლის მოსწავლე ლია ცინცა-
ძე, მე-2 სკოლის ფრიადოსანი, კომკავშირის კომიტე-
ტის მდივანი, საკავშირო ალკკ XI ყრილობის დელე-
გატი ლილი ლითანიშვილი; გვერდით ავიამოდელისტთა
ოთახში არიან ნორჩი მოდელისტები ი. ჩაჩიბაია, რ. გა-
ლუსტოვი, თ. ყარანგოზიშვილი, ე. ჯიმშელეიშვილი;
სპორტდარბაზში ორძელზე ვარჯიშობს ტანმოვარჯიშე
ალექსანდრა ლელუაშვილი.

„ეს ნამდვილი სასახლეა,—ლაპარაკია კლოდ მორ-
განის წერილში, — ოქტომბრის რევოლუციამდე იგი
ეკუთვნოდა საქართველოს მთავარმართებელს. ოესპუბ-
ლიკის მთავრობამ, ქართველი ხალხის საამაყო შვილნა
ბერიამ აჩუქა იგი ბავშვებს". ავტორი უზიარებს ფრანგ
მკითხველს თბილისის პიონერთა სასახლეში ქართველ
მოსწავლე ახალგაზრდობასთან შეხვედრით მიღებულ
შთაბეჭდილებებს, იგი წერს: „ჩვენ გაგვაოცა ბავშვების
განკარგულებაში მყოფი მასალების სიმდიდრემ,
ბავ-
შვების მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა, მათ მიერ
პასკალის, ნიუტონის, გალილეის ცხოვრებაზე და სხვა
თემებზე გაკეთებული მოხსენებებით გამოვლინებულმა
ღრმა აზროვნებამ".

ავტორი ეხება თბილისის პიონერთა სასახლეში მოწ-
ყობილ არქეოლოგიურ გამოფენას. „ეს თვითონ ბავშვ-
თა კვლევითი საქმიანობის ნაყოფია", — წერს კლოდ
მორგანი.

ჟურნალი ვრცლად მიმოიხილავს ქართველი საბჭოთა
ბავშვების იმ მრავალფეროვან მუშაობას, რაც ესოდენ
საინტერესოდ დუღს და გადმოდის თბილისის პიო-
ნერთა სასახლის ხატოვან კედლებს შორის. წერილი
თავდება შემდეგი სიტყვებით: „ყველაფერი, რაც ჩვენ
ვნახეთ, იყო დადასტურება სტალინის იმ სიტყვებისა,
რომლის თანახმად ადამიანი ყველაზე ძვირფასი კაპი-
ტალია".

ჩვენი სამშობლო საყოველთაო სავალდებულო სწავ-
ლების, სახალხო განათლების ქვეყანაა. ამ სასიამოვნო
ფაქტის საილუსტრაციოდ პარიზის ჟურნალი „საფრან-
გეთი — სსრ კავშირი" უკანა გვერდზე ათავსებს ასეთ
დიდ ფოტო-სურათს: ფრანგი ხატუმარი ხელგადახვეუ-
ლი დგას ორ კახელ ყმაწვილს შუა, რომელთაც ილლი-
ა ში წიგნები უჭირავთ.

ამ სურათის ქვეშ ასეთი წარწერაა: „აღმოსავლეთ
საქართველოს ერთ სოფელში, პარიზიდან 5.000 კილო-
მეტრის დაშორებით".

ჟურნალის ამ ნომერში მოთავსებულ მასალებს შეუ-
ძლია უთხრას სწავლის, შრომის, დასვენების და სოც.
უზრუნველყოფის ადამიანურ უფლებას მოკლებული
ყველა ფრანგს სიმართლე სოციალიზმის ქვეყნისა და
მისი ბავშვების შესახებ.

ჟურნალში „საფრანგეთი — სსრ კავშირი" ბედნიერი
ქვეყნის ბავშვთა ცხოვრება დანახულია ჩვენი საზღვარ-
გარეთელი მეგობრების თვალით, ისე, როგორც იგი
ნამდვილად არის, ლაღი და მხიარული, თავისუფალი და
შინაარსიანი.

უბრალო ფოტოსურათებში, რომლებიც ჟურნალ
„საფრანგეთი — სსრ კავშირის" 16 გვერდზეა მოთავ-
სებული, მცირეოდენ სიტყვებში, რომელსაც იქ წაი-
კითხავთ, იგრძნობა, თუ რაოდენ დიდად ახარებთ
ყოველივე ეს ჩვენს ფრანგ მეგობრებს.

— უფლებას არ მივცემთ ჩვენი ქვეყნის კაპიტალის-
ტებს, რათა ტყვია დაუმიზნონ იმას, რაც ჩვენ ასე ძლი-
ერ გვიყვარს! — მთელი გულით ამბობენ ისინი.

და ჩვენი საბჭოთა ქვეყნისადმი მეგობრული ერთ-
გულების გრძნობით წარმოთქმული ეს სიტყვები საყო-
ველთაო მშვიდობიანობის დაცვის ძლევამოსილ მოწო-
დებად გაისმის ჟურნალის ფურცლებიდან. ისინი ერთ-
ხელ კიდევ გვარწმუნებენ, რომ ფრანგი ხალხი არასო-
დეს არ აიღებს იარაღს სსრ კავშირის წინააღმდეგ.

დ. დავითაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარებში გოგონა გამოჩნდა. ასე, შვიდი წლისა თუ იქნებოდა. დიდ პეპელასა ჰგავდა იგი თავისი ჭრელი კაბით და თეთრი ბანტით.

—შეიძლება, დეიდა?!—თამამად წარმოთქვა მან და კარებთანვე შედგა პასუხის მოლოდინში.

ეს არ იყო მისი ბუნებრივი ხმა. მაგრამ ყურადღება ხომ უნდა მიექცია როგორმე პატარას თავისკენ!...

მხოლოდ აქა-იქ ოდნავ თუ გაიჭრაჭუნებდა სკამი სამკითხველოს დარბაზში, ან ნელი ჩურჩული თუ ზოგჯერ დაარღვევდა საერთო მყუდროებას. ყველა თავის სამყაროში იყო ჩაძირული — ყველა კითხულობდა. ზოგს მრისხანება ეხატებოდა ნორჩ სახეზე. ზოგს კიდევ უმანკო ღიმილი, — იმისდამიხედვით თუ ვინ რას განიცდიდა წაკითხულისაგან. და ირგვლივ გამეფებულ ამ სიჩუმეში ერთგვარი დისონანსი შეიტანა ჩვენი პატარა სტუმრის ხმამ.

დეიდა ნადია, — ასე ეძახიან ბავშვები სიყვარულით ბიბლიოთეკის მეთოდისტს — სკამიდან წამოიწია, რომ კარგად დაენახა მოსული, სიყვარულით გადახედა, ღიმილით თავი დაუქნია ნიშნად თანხმობისა და ნელი ჩურჩულით დაუმატა:

—მოდი.

ამ ერთ სიტყვაში დედობრივი ალერსი და სიყვარული სჩანდა.

გოგონა მკვირცხლად გაემართა პირდაპირ იმ დიდ, წიგნებითა და კარტოტეკებიანი ყუთებით დატვირთული მაგიდისაკენ, რომელთანაც დეიდა ნადია იჯდა. ბავშვებმა თვალი გააყოლეს მას. ერთმა-ორმა ჭურდულად ჩაიღიმილა კიდეც, ამ პაწაწინა მკითხველის შემხედვარემ. დეიდა ნადიამ მზერა კარებისაკენ გადაიტანა — უთუოდ ახლა გამოჩნდება ბავშვის მხლებელი. მაგრამ არა, ბავშვი მარტო იყო.

— მე მოგიტანეთ ცნობა. გთხოვთ მომცეთ წიგნი, — სთქვა ბავშვმა.

როცა გოგონა მაგიდასთან იდგა, დეიდა ნადია მის თვალებსღა ხედავდა — ვერ ამოსწვდა ბავშვი მაგიდას. ნადიამ ბავშვს გაწვდილი ქაღალდი გამოართვა, წაიკითხა. ღიმილი მოეფინა მეთოდისტს სახეზე. აი რა ეწერა იმ ქაღალდზე, რომელსაც ბავშვმა ცნობა დაარქვა (სიტყვები მსხვილი ასოებით იყო გამოყვანილი).

„ცნობა ჩემგან, ბიბლიოთეკას. მე მინდა კითხვა. გთხოვთ მომცეთ წიგნი. წიგნს არ გავაფუჭებ, მე მყავს დედა, ბებია, ბაბუა, აი, ჩემი დედის პასპორტის ნომერი... ამით დამთავრდა ჩემი ცნობა. გთხოვთ წიგნი მომცეთ. ნუნუ თუხარელი“.

დეიდა ნადიას ამის წაკითხვისთანავე უნდოდა ერთი გულიანად გადაეხარხარნა, ალერსით მკერდში ჩაეკრა ბიბლიოთეკის ეს ახალი, პატარა სტუმარი, რომელიც აქ წიგნის სიყვარულს, კითხვის წყურვილს მოუყვანია. ნუნუ პირველკლასელი აღმოჩნდა. სკოლაში ეს-ეს არის დაუწყია სიარული.

ბიბლიოთეკის გამგემ აგრაფინა არჩვაძემ და მეთოდისტმა ნადია ხაბურზანიამ მშობლიური მზრუნველობით გამოჰკითხეს ბავშვს: სად ცხოვრობს, ვინ არიან მისი მშობლები. აუხსნეს თუ როგორ შეიძლება გახდეს ბიბლიოთეკის მკითხველი, განუმარტეს ჩაწერის წესები.

მეორე დღეს ნუნუს დედა მოჰყვა. დედამ, როგორც წესი, თავდებობის ფურცელი მეავსო. პატარა ნუნუკა ბიბლიოთეკის მკითხველი გახადა. მას შემდეგ ნუნუ თუხარელმა მრავალი წიგნი წაიკითხა. მეორე კლასში წარმატებით გადავიდა. წესიერად, სუფთად აბრუნებს იგი წიგნებს ბიბლიოთეკაში. ბავშვი სულ უფრო გონებაგახსნილი და განვითარებული ხდება. წიგნი ნამდვილად თვალს ეხელს მას ცხოვრებაში.

და ნუნუ თუხარელი მარტო როდია შიო მღვიმელის სახელობის თბილისის საბავშვო ბიბლიოთეკაში, (ეს ბიბლიოთეკა დგას საბჭოს ჭუჩაზე, ღრმაღელეში დიდი, ახალი ბაღის ტერიტორიაზე). ვინ იცის რამდენი ბავშვი აღიზარდა ამ ათი წლის განმავლობაში მის წიგნებზე. ისევე როგორც

პატარა ნუნუ, ბაგრატ მაზანაშვილმაც პირველად სკოლასა და ამ ბიბლიოთეკაში აიხილა თვალი. იგი ბიბლიოთეკის მკითხველი გახდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მესამე კლასის მოსწავლე იყო. ბეჯითი ბიჭუნა ეწაფებოდა სწავლას, წიგნებს. იგი უკვე დავაჟკაცდა, საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და დღეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს, ლექსებსაც სწერს. ბაგრატ მაზანაშვილს არ დავიწყებია მისი მშობლიური ბიბლიოთეკა, ახლაც მისი აქტიური მკითხველი და ბიბლიოთეკის მუშაკთა უახლესი თანამემწეა. მას მინდობილი აქვს საბიბლიოთეკო კედლის გაზეთ „ნორჩი მკითხველის" რედაქტორობა. ბაგრატი ახლა ნორჩ მკითხველთა შორის ავლენს ახალ ტალანტებს. მან კედლის გაზეთის მუშაობაში ჩაბა აქტიური მკითხველები: პიონერი გულნარა ნოზაძე — იგი ქალთა 38-ე სკოლაში სწავლობს, მეექვსე კლასში გადავიდა,—ხუთასანი მოსწავლე ზიზო თადიამშვილი — ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, პიონერი გოგონა, რომელიც წარმატებით გადავიდა მეშვიდე კლასში.

ქალთა 22-ე რუსული საშუალო სკოლის მეოთხეკლასელი პიონერი სვეტლანა რუბაილოვა წიგნის გატაცებული მკითხველია, იგი აგრეთვე ბიბლიოთეკას ეხმარება სამკითხველო დარბაზში ნორჩ მკითხველთა შორის წესრიგის დაცვაში, ნახმარი წიგნების გარეკანის მოვლა-განახლებაში. საზაფხულო არდადეგების დროს მან მრავალი საინტერესო წიგნი წაიკითხა.

წიგნმა, ბიბლიოთეკამ დაამეგობრა ერთმანეთთან სხვადასხვა სკოლისა და კლასის მრავალი მოსწავლე. ნოდარ ერისთავი რკინიგზელის შვილი, მერვე კლასში გადავიდა. იგი წიგნების დიდი მოყვარულია. მან მშვენიერი ბიბლიოთეკა მოაწყო სახლში — ორასზე მეტი სახელწოდების წიგნი აქვს. იური ნაგორნიაკი მისი თანაკლასელი არაა — იგი მეშვიდე კლასში გადავიდა, მაგრამ წიგნმა დაამეგობრა ისინი ერმანეთთან. უზიარებენ წაკითხულისაგან მიღებულ მთავ ბეჭდილებებს, ურჩევენ ერთმანეთს რა წაიკითხონ. აი, ნოდარ ერისთავმა, როგორც კი წაიკითხა ვასილ აქაევის, რომანი „მოსკოვიდან დაშორებით", თავის ამხანაგს ურჩია წაეკითხა და იურიც ინტერესით დაეწაფა ამ სახელმოხვეჭილ წიგნს. ახლა იგი ბიბლიოთეკაში მოვიდა, რათა წაიღოს სიმონ ბაბაევსკის წიგნი „სინათლე დედამიწაზე", რომელიც ნოდარს ადრე წაეკითხა. ნოდარ ერისთავმა და იური ნაგორნიაკმა არდადეგების პერიოდში მრავალი ათეული სახელწოდების წიგნი წაიკითხეს. მათ აქვთ შთაბეჭდილებათა რვეული, რომელშიც იწერენ წაკითხულის მოკლე შინაარსს.

აქტიურმა მკითხველმა და კარგმა მოსწავლემ, მეექვსე კლასელმა, პიონერმა ვანო სააკაშვილმა ბიბლიოთეკაში მოიყვანა მისი მეზობელი ბიჭი, მეხუთეკლასელი ზაური ზარიძე, დაუდგა მას თავდებათ, რათა ბიბლიოთეკას ჩაეწერა მკითხველთა სიაში. ზაური აქტიური და წესიერი მკითხველია, ორივე მეგობარმა მრავალი წიგნი წაიკითხა, ორივე წარმატებით გადავიდა შემდეგ კლასებში.

ბიბლიოთეკის გამგე და მეთოდისტი იგონებენ ერთ შემთხვევას: ნორჩმა მკითხველმა ვიქტორ დუდენკომ მეტად დააგვიანა წიგნის დაბრუნება. და იგი დასაჯეს. სასჯელი იმაში გამოიხატა, რომ ათი დღით ეკრძალებოდა ბიბლიოთეკიდან წიგნის წაღება. მეთოდისტი დარწმუნებული იყო, რომ ვიტიასათვის ეს სერიოზული სასჯელი იქნებოდა — იმდენად წიგნისმოყვარულია ეს ბავშვი. მან მშობელი მოიყვანა მეორე დღეს და „ძლივს აღიდგინა თავი უფლებებში" — დააღწია თავი სასჯელს და მიიღო ახალი წიგნი.

ასე გატაცებით უყვართ საბჭოთა ბავშვებს წიგნი.

წიგნი ადამიანის საუკეთესო მეგობარია. წიგნი ცოდნის წყაროა. წიგნს ეწაფება ჩვენი ბედნიერი ნორჩი თაობა.

ქ. ლოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაფხულის მშვიდი საღამოა. მტკვრიდან შემოჭრილი ნიავი ბაღს საამურად აგრილებს. გაზონებში გაშენებული ფერად-ფერადი ყვავილები დამატკბობელ სურნელებას აფრქვევენ გარშემო. აუზიდან ამოხეთქილი შადრევანი მხულით ცისკენ მიილტვის. შემდეგ, თითქოს არ უნდა დედამიწას მოშორდესო, მოძრაობას ანელებს, იმლება მრავალ წვრილ წვეთებად და წვიმის მსგავსად უბრუნდება აუზს.

ბაღი თანდათან ივსება დამსვენებლებით. ყველა სუფთად და ფაქიზად არის მორთული. ყველას სახეზე ღიმის ნათელია მოფენილი. ახარებთ ერთმანეთის ნახვა, მშვიდი საღამო, ბაღის სიმშვენიერე: მისი ასწლოვანი ჭადრების ხმაშეწყობილი შრიალი, ფერად-ფერადი ყვავილების თვალების ციმციმი, შადრევნის მოუსვენრობა და მომხიბვლელი თამაში.

აგერ ელენე მასწავლებელიც გამოჩნდა, გვერდით მოჰყვება თავისი პატარა ვაჟი თეიმურაზი. ბიჭუნა აღტაცებული ათვალიერებს მიდამოს. დედამ იგი ბაღის მოედანზე შეაჩერა.

— თემური, აი დააკვირდი ამ მანქანებს, ამ ხელსაწყოებს. — უთხრა დედამ და საქარხნო-საფაბრიკო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაზე მიუთითა. თეიმურაზმა ცნობისმოყვარეობით დაუწყო გამოფენას დათვალიერება.

— ახლა აქეთ წამოდი.

თეიმურაზიც დედას გაჰყვა.

— აი, შეხედე რა მშვენიერი ნახატებია, რა მშვენიერი ავეჯი. —უთხრა ელენემ და მხატვრული აღზრდის სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებზე მიუთითა.

თეიმურაზმა ეს გამოფენაც ცნობისმოყვარეობით დაათვალიერა. შემდეგ ბავშვმა ბაღში მოსეირნეთ დაუწყო ცქერა, თითქოს ვინმე ნაცნობს დაეძებსო. ამ დროს ორთქლმავლის სუსტი ხმა მოისმა. თეიმურაზმა ყურები ცქვიტა, თვალები გაუბრწყინდა და დედას შეხედა.

— მე მატარებლით მგზავრობა მინდა. — მორცხვად თქვა მან.

ელენეს გაეცინა. შვილს ხელზე მოჰკიდა ხელი და ბაღის კუთხისაკენ წაიყვანა.

აგერ ცისფერ შენობასთან ბავშვები შეგროვილან. ზოგს დედა ახლავს, ზოგს მამა, ზოგს დედაც და მამაც... თეიმურაზს არ სჭირდება განმარტება, კარგად იცის—ეს შენობა საბავშვო რკინიგზის სადგურია და ეს ბავშვებიც გასასეირნებლად მოსულნი.

ელენემ თეიმურაზს ბილეთი შეუძინა და სადგურის ბაქანზე გაიყვანა. ბაქანი სავსეა ბავშვებითა და მათი მხლებლებით. ბავშვები ვერ ისვენებენ, ღელავენ, მატარებლის მოლოდინში არიან. ყველას სადგურ მზიურისკენ აქვს თვალი მიპყრობილი.

აი, მატარებელიც გამოჩნდა. მოდის ხმაურით და თან მოაჭროლებს თავის მხიარულ მგზავრებს. ბაქანზე სადგურის წითელქუდიანი ნორჩი მორიგე გამოვიდა. მატარებელმა სვლა შეანელა. აგერ პატარა ორთქლმავალი სადგურის შენობას გაუსწორდა. მორიგემ მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და ნორჩ მემანქანეს კვერთხი ჩამოართვა. მატარებელი გაჩერდა. პატარა მგზავრებმა ვაგონებიდან ხმაურით იწყეს გადმოსვლა. აგერ თეიმურაზმა ვაგონიდან გადმომავალ ლილის მოჰკრა თვალი, თავისი მეზობლის გოგონას, „შეხედე ამ კუდრაჭას, მოუსწრია მგზავრობა ჩემთვის!“ გაიფიქრა თეიმურაზმა და თან უყურებს როგორ მოეხსნა ორთქლმავალი მატარებელს და როგორ წავიდა გვერდითი ლიანდაგით მეორე ბოლოსკენ მისაბმელად.

მატარებელი მალე დაიცალა. ახლა ახალმა მგზავრებმა იწყეს ვაგონებში შესვლა. ნორჩი გამყოლები ვაგონების შესასვლელებში წესრიგს იცავენ. თეიმურაზიც ვაგონში შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი დაიძრა. ბავშვები თავიანთ გამცილებლებს ვაგონებიდან ხელებს უქნევენ, თითქოს შორს მიემგზავრებიან და ემშვიდობებიანო. თეიმურაზიც არ ჩამორჩა მათ და დედას ღიმილით ხელი დაუქნია. ელენემაც თავისი ღიმილის სხივი გააყოლა მიმავალ შვილს.

მატარებელმა სვლას მოუმატა. აგერ მოუხვია და თვალსაც მიეფარა. ახლა მხოლოდ მისი შორეული ხმა ისმოდა. თავის მხიარულ ნორჩ მგზავრებს იგი გუგუნით მიაქროლებდა სადგურ სიხარულისაკენ.

* * *

თბილისელ ბავშვებს, მრავალ კულტურულ გასართობთა შორის, საბავშვო რკინიგზაც აქვთ. იგი მოწყობილია ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში (ყოფილი მუშტაიდი). ეს რკინიგზა პირველი საბავშვო რკინიგზაა მსოფლიოში. მისი მოწყობის იდეა თბილისელ პიონერებს ეკუთვნით.

15 წლის წინათ თბილისელ პიონერმოსწავლეთა ერთი ჯგუფი გამოცხადდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში განცხადებით, რომ თბილისელ ბავშვებს სურვილი აქვთ ჰქონდეთ თავიანთი რკინიგზა და სამმართველო დაეხმაროს მათ ამ საქმის ორგანიზაციაში. ეს განცხადება სამმართველოში მოიწონეს და სიხარულით აღუთქვეს ბავშვებს დახმარებოდნენ რკინიგზის მოწყობაში.

საბავშვო რკინიგზის მოწყობის თაოსნები იყვნენ თბილისელი პიონერები: ნინო ბელაშვილი, ვერა დიუბიუკი, სერგო ავეტისიანი, ივანე პაპიტაშვილი, პავლე ასლანიდი, ნიკოლოზ ლასკუტოვი, ლიზა სოკოლოვსკაია. ამათი თაოსნობით დაიწყო საბავშვო რკინიგზის მშენებლობა. მუშაობაში მრავალი პიონერ-მოსწავლე ჩაება. ბავშვებს თვითონ მიჰქონდათ ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებიდან მშენებლობისათვის საჭირო მასალა. მათი შეუპოვარი მუშაობით და რკინიგზის სამმართველოს დახმარებით თბილისის საბავშვო რკინიგზა აგებულ იქნა. 1935 წლის ივნისში მოხდა მისი გახსნა... დაიძრა პირველი საბავშვო მატარებელი და თან წაიყვანა პირველი ნორჩი მგზავრები. ეს იყო თბილისის ბავშვებისათვის ზეიმი.

ამავე წლის ოქტომბერში საბავშვო რკინიგზის მოწყობის თაოსანი პიონერები წავიდნენ მოსკოვს, გზათა სახალხო კომისარიატში. პიონერები მიიღო გზათა სახალხო კომისარმა ლ. კაგანოვიჩმა. პიონერებმა სახალხო კომისარს სთხოვეს საბავშვო რკინიგზის გაფართოება. ლ. კაგანოვიჩმა ნორჩ რკინიგზელებს დახმარება აღუთქვა და დასაჩუქრა ისინი ორთქლმავლით. მართლაც, მალე თბილისის საბავშვო რკინიგზა გაფართოვებულ იქნა.

თბილისის საბავშვო რკინიგზის მთელ ხაზზე სამი სადგურია აგებული: პიონერი, სიხარული და მზიური. რკინიგზის ხაზი წრისებურია: სადგურ პიონერიდან გასული

მატარებელი კვლავ სადგურ პიონერში ბრუნდება. აქ არის სალაროც, სადაც იყიდება სამგზავრო ბილეთები. მატარებლით მხოლოდ ბავშვები მოგზაურობენ. მაგრამ მარტო ამის გამო არ ქვია ამ რკინიგზას საბავშვო. საყურადღებო და საინტერესო ის არის, რომ მთელ საბავშვო რკინიგზას, მოზრდილთა მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით, თვითონ ბავშვები მართავენ. გზის უფროსი არის მოსწავლე ბორის ვასერმანი, მოძრავი შემადგენლობის უფროსი ალიკ ფაფაზაშვილი, სადგურ პიონერის უფროსი ნანი ბერძენიშვილი, სადგურ სიბარულის უფროსი იზოლდა კოპალეიშვილი, სადგურ მზიურის უფროსი ვიოლეტა ჯაფარიძე; მემანქანეებად მუშაობენ პიონერმოსწავლეები: გივი გიუნაშვილი, ბურამ ნიორაძე, ნოდარ ცვეტიშვილი და სხვები. ასევე პიონერმოსწავლეები არიან რევიზორები, გამყოლები, მეისრეები, გზის შემომვლელები, გადამბმელები, ვაგონების შემკეთებლები და სხვ. თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ბავშვებს რკინიგზელთა ფორმის ტანსაცმელი აცვიათ.

ნორჩი რკინიგზელები სიყვარულით ეუფლებიან თავიანთ საქმეს. ისინი მეცადინეობენ რკინიგზის ტრანსპორტის შემსწავლელ წრეებში. ეს წრეები ჩამოყალიბებულია რკინიგზის სკოლებში და აგრეთვე ქალაქის იმ სკოლებში, რომლებიც საბავშვო რკინიგზის ახლო მდებარეობენ.

წრეებში მეცადინეობებს ატარებენ ტრანსპორტის ინჟინერ-ინსტრუქტორები. მეცადინეობა უმთავრესად ზამთრის პერიოდში სწარმოებს, ზაფხულობით ნორჩი რკინიგზელები პრაქტიკულად ეუფლებიან სარკინიგზო საქმეს თვით საბავშვო რკინიგზაზე.

საბავშვო რკინიგზას აქვს დეპო. ზამთრობით ორთქლმავალი და ვაგონები ამ დეპოში დგას. აქვე სწარმოებს მათი შეკეთებაც. წვრილ შეკეთებას თვითონ ბავშვები აწარმოებენ, რთული შეკეთებისათვის იწვევენ სპეციალისტებს.

საბავშვო რკინიგზას ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო. მას საბავშვო რკინიგზაზე ყავს თავისი შტატის მუშაკები. საბავშვო რკინიგზის უფროსად მუშაობს ინჟინერი გიორგი ბერაძე, სახწავლო ნაწილის გამგედ ინჟინერ-ინსტრუქტორი ნელი კოპალი, ინჟინერ-ინსტრუქტორებად ნინო გოგიჩაიშვილი, მერი მესხი, იოსებ ბუკასოვი, მემანქანე-ინსტრუქტორად ტარასი ცინცაძე. ტრანსპორტის ეს სპეციალისტები სიყვარულით ემსახურებიან საბავშვო რკინიგზას, ნორჩ რკინიგზელთა აღზრდის საქმეს.

თბილისის საბავშვო რკინიგზას სასწავლო მნიშვნელობა აქვს. მისი მიზანია ბავშვებს შეაყვაროს რკინიგზის ტრანსპორტის საქმე. მართლაც, რკინიგზის ტრანსპორტის შემსწავლელ წრეებში გაერთიანებული ბავშვების დიდი უმრავლესობა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად შედიან რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტებში. ბევრი ყოფილი ნორჩი რკინიგზელი ახლა მემანქანე ან ტრანსპორტის ინჟინერია.

ბორის ბეთანელი

ნახ. ზ. გოგოლაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

პასუხები ჟურნალ „პიონერის“ № 6-ში მოთავსებულ გასართობებზე



პასუხი გასართობზე „როგორ გაანაწილებთ რიცხვებს?“

პასუხი ამოცანებზე: კლასში იყო ხუთოსანი 4, ცუდოსანი,—ოთხოსანი—28, სამოსანი 7; სულ კლასში იყო 40 მოსწავლე.

პასუხი გასართობზე „კითხვები გეოგრაფიიდან“:

1. სახლი, რომლის ოთხივე კედლის ოთხივე ფანჯარა ჩრდილოეთისკენ იქნება მიმართული, უნდა დავდგათ სამხრეთ პოლუსზე.

2. კუნძულები კრიტი და კიპროსი. კრიტი ეკუთვნის ევროპას, ხოლო კიპროსი აზიას.

3. სარგასის ზღვა. იგი მოქცეულია ატლანტიის ოკეანეში.

4. ჩრდილო პოლუსზე ქარები მუდამ ერთი მხრიდან—სამხრეთიდან ჰქრიან.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ
ვერა ბუაჩიძე — დენი ჩართეს? (მოთხრობა)	1
საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში (წერილი)	4
მარიკა მიქელაძე — კიდევ უფრო მაღლა ვიფრენთ (ლექსი)	5
ზურაბ ჯაფარიძე — ძლიერებისა და სიმამაცის დღესასწაული (წერილი)	6
ილიკო ქურხული — დიახ, მამი, გავიგე! (მოთხრობა)	7
გიგლა ხუხაშვილი — ულიანა (ლექსი)	11
ბ. შელია—ერთი დღე ბანაკში (ნარკვევი)	12
შალვა ფორჩხიძე — ხარს რკინა წამოგაშველეთ (ლექსი)	14
ლეონიდ კორობოვი — ნინა შულიაკის ბედი (ნარკვევი)	15
გივი ლონგურაშვილი — ჩემი საყვარელი საქმე (წერილი)	16
ნიკოლოზ ჩაჩავა — ზანგი გოგო (პოემა)	19
კოტე მესხი — გმირი გოგონა (ნარკვევი)	23
დ. დავითაშვილი — ფრანგი მეგობრების თვალით (წერილი)	25
ქ. ლოლაძე — ბიბლიოთეკაში (ნარკვევი)	27
ბორის ბეთანელი—საბავშვო რკინიგზა (ნარკვევი)	29
ა. ონელი—გზა, რომელიც ბრწყინავს მარად (ლექსი)	მე-2 გვ
ა. ებრალიძე—პადრაკის კუთხე — გარეკ.	მე-3 გვ.

გარეკანის მხატვრობა „ზღვაზე“, ეკუთვნის მხატვარ ალ. გიგოლაშვილს.

რედაქტორი გ. კ ა ბ ა ხ ი ძ ე. სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია, პასუხისმგებელი მდივანი ვ. თოდრდუა. სამხატვრო რედაქტორი გ. ფოცხიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 04896 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეკვ. № 83 სტამბის შეკვ. № 1024

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გავლაზე აღება

არსებობს კიდევ ერთი წესი, რომლის ახსნა-განმარტებისათვის უნდა მივმართოთ დიაგრამას (იხ. I დიაგრამა).



I

აქ თეთრების უკანასკნელი სვლა იყო პაიკით სვლა ფ2 უჯრედიდან ერთბაშად ორი უჯრედით წინ — ე.ი ფ2 და ფ4 უჯრედები. თავის გზაზე ამ პაიკმა განვლო მოწინააღმდეგის ე4 პაიკის მიერ დამუქრებული ფ3 უჯრედი. დიაგრამაზე აღნიშნულ პოზიციაში შავებს უფლება აქვთ აიღონ თეთრების ფ4 პაიკი და დასვან ხაკუთარი პაიკი იმ უჯრედზე, რომელსაც შავი პაიკი ემუქრებოდა და რომელიც გაიარა თეთრმა პაიკმა, ესე იგი, შავები ხსნიან დაფიდან ფ4 პაიკს და დგამენ ხაკუთარ პაიკს ფ3 უჯრედზე.

თუ როდის არის ხელსაყრელი გავლაზე აღება, ამახ გვიჩვენებს მეორე და მესამე დიაგრამები.



II

მეორე დიაგრამაზე თეთრების უკანასკნელი სვლა იყო პაიკით ც2 უჯრედიდან ორმაგი წინსვლა, ესე იგი, თეთრებმა გააკეთეს ც2—ც4 სვლა. ამ პაიკმა განვლო



III

ც3 უჯრედი, ეს უჯრედ კი იმყოფება შავი დ4 პაიკის მუქარის ქვეშ, აქ შავები გავლაზე აღებით იგებენ, რადგან თეთრი მეფე ვერ შეაჩერებს მის წინსვლას უკანასკნელ ჰორიზონტამდე, შავებმა რომ არ აიღონ თეთრი პაიკი, მაშინ შავები პარტიას ვერ მოიგებენ, რადგან თეთრი მეფე მოასწრებს მის შეჩერებას.

მესამე დიაგრამაზე კი (თეთრების უკანასკნელი სვლა იყო ფ2—ფ4), რომ შავებმა აიღონ პაიკი, ისინი წააგებენ ტურას და რასაკვირველია პარტიასაც.

(გაგრძელება იქნება)

ა. მგრალიძე,
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

საბჭოთა რკინიგზა.

ხალხურ „ვეფხვიანის“ ბაკანში ნიჩრი მეზობლები ხვდებიან ფაეტონებში.